

ხელნაწერი: ... (ვახტანგ VI-ის ხელნაწერი), 1712 წ.

მინაწერები

თავფურცელის გარშემო ორმაგი ორნამენტის ჩარჩოა. თავფურცელის მეორე გვერდზე ბაგრატიონთა ღერბის ერთ-ერთი ვარიანტთაგანია წარმოდგენილი: ანგელოზები და ერთი ლომი. ღერბის გარშემო ფოთლოვანი ორნამენტის ჩარჩოა, კუთხეებში ანგელოზების თავებით. ჩარჩოს სამი მხრიდან შემოვლებული აქვს ორნამენტი, რომელსაც ქვემოთა მეოთხე მხარე ღია აქვს დატოვებული. ღერბის შიგნითა არეში მოთავსებულია ინიციალები : წ. ღ. დ. პ. მ. გ. ყ. ს. რაც ნიშნავს „წმიდაო ღმერთო დაიცევ პატრონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოდა.“

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„ვეფხისტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამა ღირსეულისა საქართველოს მპყრობელის უფლისა უფლისა ვახტანგისს შრომითა და წარსაგებელითა მისივე მპყრობელისათა გაიმართა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქაელისათა ქალაქ ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა.“

გასინჯეთ ბეჭდის იგავი: მსმენნო ნუ გაქუან წყინება:

ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის: თუმც რაზედ იყოს სმინება:

ქრისტესა მოასწავებდა: ვინ დაჯსნა ცრემლთა დინება:

დავითის ტომით ჯორცთ შესხმა: თუ ვითარ მხსნელმან ინება:

ამ შურდულითა დავით სძლო: გოლიათს არ თუ ზავებდა:

ლომნი ტახტისა სოლომონს: შჯდს სიბძნეს მოასწავებდა:

მქსნელი ვინ აღთქმას უდებდა: ქმნულთ ეგრე გაუთავებდა:

ვით ძალედვა და შეჭგვანდა: მის მტერზრდ ეგრე დავებდა:

როს მქსნელმან სათნო იჩინა: ქალწულის მუცლად ღებანი:

მით უყო წარმართთ ყოველთა: ამ საქმით განათლებანი:

ჯუარცმით გამოჯსნით ყოველთ სულთა: იყო მის ქმნისა ნებანი:

განკურნა წყლულნი უწამლო: რომელი გვჭირდა სნებანი:

ოდეს უქსოვა ქალწულმან : მქსნელს კვართი ქსელით გდებული:

იგი ელიოზს წილად ხუდა: მოვიდა ქართლად რებული:

სად არის სახლად უფლისად: სვეტი ცხოველი გებული:

აქა ძეს ჩუწნთვნ სულითა ჯსნად: კურნებად იმედებული:

ქართველთ მეფენი დავითის : გვარ ტომით მოდგამობითა:

თვთ ყოვლად წმინდა უბიწო: არის მათ ძირთგან შობილთა:

ვართ მისთჯს წილად ხდომილნი: და მისის იმედობითა:

ამად არ ვიქმნათ უხილავთ: მტერთაგან ლახვარ სობითა:

სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და: რუსნი და მერმე ვლახელნი:

აქ არსად იყო აროდეს: ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი:

გიორგის მეფობაშიგან: ვახტანგ აკვირვა მსახველნი:

ამ ბეჭვდამ ახლა მის გამო: გაცუდნა ყოვლნი მჩახელნი:

მადიდებელი წმიდისა სამებისა მე გვარტომობით ძირ მდგომობით დავითიანმა ძის ძემან სახელ განთქმულის მეფის ვახტანგისამან ქებულის მეფის არჩილისმან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან ან მპყრობელმა საქართველოსმან ვახტანგ მოვიყვანე მესტანზე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საკსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის სალხინებელად სულისა ჩემისად და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლის რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად.

პოემის ბოლოს:

თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა:

თქმული ბატონის შვილისა გამგებლის პატრონისა ვახტანგისა:

მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და მე ლევანისა გამგებელი ქართლის ვახტანგ წიგნისა ამას ამისთვის უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნოდეს მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა: მსგავსად თვალთა რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი: და ჭიქასა ქვად პატრონისად საჯელ სდებენ და მარგალიტთა მივიად პატივ სცემენ: და ესეცა ვთქუათ მსგავსად ჭიქისა მის რომელი არს გვამთა მფრინველის ათა გემოვნებისა და განძღომისა თვისისათვის სჭამს მფრინველსა მას: ჭამითა მით მასცა მოჰკლავს და თვტვა მოკუდების: აწ მე ამისთვის დავშვერ ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად: და რადგან ქრისტიანი იყო არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა ხანსა ამას წინ რომ ელი იტყვს რომელმან მიხედოს დედაკაცს გულის თქმად შემდგომითურ: მაგრა ამად თქუ თუცა ეთქუა წმიდათა წერილთაებრ ვინ გაუშვებდა გრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას შეიყვარებდა: აწ ამის მიზეზისათვის ესე თქუა უსწავლნი და უმეცარნი სოფლის საშველად და სიბრძნესდ შერაცხს: და მით სიხარულად შეიტკბობს : ხოლო რომელნი არიან მეცნიერ სცნობენ ესრეთ ვითარ განიმარტვის და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი; და ამით ნამუშაუკუარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება: და აწ ესე მოისმინეთ ვეფხის ტყაოსანი მე ასე მითარგმნია: და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე თქვენცა სთარგნეთ: მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია: ერთი მე ასე მივხვდი და მითქუამს: რაც რაც რუსთველისა იმას გარდა არა მითქვამს რა : და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ: სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით ყუელა ეკადრება მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს: აწ ასრე ვსთარგმნე ვითა მას მთქმელსა ეთქუა: მე თარგმანი მრავალი დამირჩა არათუ ამისთვის თუცა ესე ვიპოვნე: მაგრამ ერთად მოუცლელობისათვის: მე ორედ გზა და რიგი გამირკუევი ვისცა თარგმანი გინდათ ასეა ამისი თარგმანი: და აწ თქუენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ: თუცა სულ მეთარგმნა სხვა რას იქმოდა: და თუცა ვინმე ამ თარგმანისას ამას ბრძანებს არა ისრე არისო: მე უგბილობაში ჩამომირთმევი: ამისთვის თავად რუსთველის დროს ქალი ბატონად დაამგვარი მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა: და მეორედ ორი კათალიკოზი რამთონი სამღვდელო წმიდა და ღირსნი იყუნენ და ამთონი უდაბნო აშენებული იყო: ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა როდის აქნევ ინდებდენ და ნათქუამსა დაუხვეველს როდის გაუშვებდენ: თვარამ ახლა გასინჯეთ ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდელიობა და ახლანდელიობა შორიშორ არის: თუცა ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს

დასაწერად კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ: მაგრამ თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს თარგმანი ხომ ასრე სჯობს: ღთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითველთ იცით: მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ ქუეყანის უფროსი ავის დამშლელი ჯამს და ამაღ დავშვერ:

ვახტანგ მეექვსის კომენტარები ვეფხისტყაოსნის შესახებ

1. **რომელმან შექმნა** - ღთისან შექმნა ქუეყანა ქუეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით და ზეცილამ სული ცხოველი მოჰბერა რომელნიც მყოფნი ვართ ხოლო მრავლის ფერის შემკობით კაცთა მისცა სოფელი და ყოველი კელმწიფობა ვითარცა იტყვის პავლე ზე გარდმო არს აგრეც ესეც ამას უბნობს რომე ღთისაგან არის ყოველი კელმწიფობა იმავ ღთის მიმგზავსებულობით.

2. **ჰე ღთო** - ერთმან ღთს მამამან ძემან და სულმან წმინდამან შექმნა სახედ ყოველი აგებულება და მას ეხვეწების დაფარვასა და ძლევასა ეშმაკისასა და დართგუნვასა სატანისასა სატანა წინააღმდეგსა ჰქვიან აქ იხილეთ კაცნო თუ სიმვაზედ რამ იყო რა სათხოვარია სიკუდილამდის ქრისტეს მცნობისა და ამ გვარის ფილოსოფოსის კაცისაგან მრუშობა მაგრამ ამას არა სთხოვს ამასა სთხოვს მიჯნური არაბულად შმაგსა ჰქვიან და სურვილი ამას ჰქვიან რომე მუდამ ნახვის მდომე იყოს და აწ ამას ამაზედ ამბობს მომეც მიჯნურთა სურვილიო ვითამ გაშმაგდება მუდამ სასუფევლის ნდომისათვის რომ სიკუდილამდი გამყუეს რომ იქ ცოდვა შემიმსუბუქდეს თან ის წავიტანო

3. **ვის შვენის** - სჭირს რუსთველის ლექსსა სამი ესე საქმენი სამზედ ერთ საღთოდ მეორეს საცოლქმროდ მესამესა რასაც ზღაპრის მიზეზედ ეს ლექსები უთქუამს და აწ აქ შესავალში ეს მეოთხე მეფის თამარის ქება მოუყვანია წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღთისა და მერმე მეფეთა აწ თვისსა მეფესა აქებს ესრე ლომი კაცის ქებად ითქმის თამარ ქალი იყო და მეფედ იჯდა მეფეთგან კაცობა ხამს აწ ამას უბნობს რომელს ლომსა შვენის ასრე ხმარება შუბისა ფარისა და შიმშირისა შიმშირი სპარსულად კრძალია რომ ამ ქალს მეფეს მზეს თამარს ღაწვ ბადახშ თმა გიშერს ხმარება რომ უხდებისო და ახლა ამას დაღონებით ამბობს ამისთანას ქება როგორ შევმართო შემართვა შებედვას ჰქვიან ამის მეტი იმის მჭვრეტს ყანდი შაქრის ყინული არის ეს შაქრის ყინული რომ კაცს მის მჭვრეტს წინ ედვას იმის ყურება ეყოფა ის მართებს მშიერსა მისცეს მშიერად ვინც თამარს ვერ ნახავს იმას უბნობს ვინც ნახავს იმის მნახავს ასე ეუბნება ამისი ნახვა რომ გასაძლომლად გეყოფა შაქრის ყინულს რაღას აქნევთო.

4. **თამარს ვაქე** - უბნობს თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლის ცრემლ დათხევით. ჯამს პატრონის სამსახურისათვის კაცის სისხლის ცრემლითაც ტიროდეს და სისხლსაც აქცევდეს და აწ ამას უბნობსა თამარს ვაქებდეთ იმისი ყმანი რომელსაც მისის სამსახურისათვის სისხლის ცრემლი გვიქცევია და ჭირიც გვინახავს და აწ უბნობს ეს თამარის ქება რომ ვსთქვითო არ ავად გამორჩეული არისო მეღნად იტყვს თამარის თვალსა და გიშრის ტბად გუგასა რომ ეს მეღნად ასრე იხმარება იმის ქებისათვის სწერს თვარა თუ ის თამარის თვალი საქებარი არ იყოს მეღნად რას დასწერს კალმად მინა რხეული შერხეულად ითქმის აწ ასრე უბნობს ეს წამწამი ასრე მიქია ვინც მომისმინოს წამწამი ლახურად უთქუამს რომ გულს ლახვრად დაესოს ქებაო.

5. **მიბრძანეს მათ** - ამას უბნობს თამარ მეფემ მიბრძანა იმ გმირების საკადრისი ტკბილი ლექსები თქვიო ქება ნესტან დარეჯანისა და თინათინის თვალისა წარბ წამწამისა თმისა და

ბაგე კბილისა ბროლად კბილს უბნობს ბალახშიად ღვიძლს და ბაგეების მიჯრით მიწყოზა კბილის ქება არის. ბადახშანი უმჯობეს ლალსა ჰქვიან გასტეხს ქუასაც მაგარსა გრდემლი ტყვისა ეს ეს არის რომ აღმას ტყვაზედ გასთლიან ლექსის გაწყობისათვის გატეხად უთქვამს აწ ეს ასრე არის როგორც ტყვა ლბილი აღმას გასთლის აგრევე ქალი ხომ რბილი არის და ამ ნესტან დარეჯანისა და თინათინის საცოლოდ მნდომებამ გმირის ტარიელის და ავთანდილის სიმაგრე გასთალა გატეხა და ძალიანი საქმეები აქნევინა და ამას სხვაზედაც უბნობს ვინც საცოლოდ ქალს მოინდომებს იმისი ცდა ბევრს გარჯის მეორე ესეც მგომია როგორც რომე ტყვა აღმას გასტეხს ისრე ტკბილი და გემრიელი სიტყუა გაჯავრებულს კაცს გასტეხს და მოალბობს მაგრამ ამას რომ უბნობს თამარ ტარიელისა და ავთანდილის ქება მიბრძანა იმათი სახელობრ არ უბრძანებია ქართულად ლექსის თქმა უბრძანა ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა.

6. აწ ენა - ამბობს ახლა ენა მინდა გამოთქმად გული და ჳელოვანება რომ რადგან სამსახური მიბრძანა მეფემ კარგად ვენა და ღ~თს ეხვეწების ძალი მომეც და შემეწიე შენგნით რომ გონება მაქუს იმას მიუგდო და დავაპყრა იმ თავის მოგონილის ზღაპრის ტარიელისას და ავთანდილისას უბნობს. იმათს ქვაზედ შევეწიოო რომ ტურფად სახსენებელნი არიანო იმ სამ ტარიელს ფრიდონს და ავთანდილს გმირად ახსენებენ ერთმანეთის მონად და მორჩილად ამბობს.

7. მო დავსხდეთ ტარიელისთვის: ამას ამბობს მოდით დავსხდეთ ტარიელისათვის ვისაც ცრემლი შეუშრობელად გვდის რომ ამას აქათ დაბადებული იმისთანა ვინ ყოფილა ამას ამისთვ ამბობს იმ ამბავს ზღაპრად ხდის არც დაბადებულან და არც ვის დაბადებულს იმას უდრის თვარა დიამც გმირები იმათთან არ ყოფილიყოს თვარა იმას აქეთ რამდენი წმინდა კაცნი დაბადებულან იმათ როგორ აჯობინებდა მაგრამ უბნობს ზღაპარია არა იყუნენ რაო მე რუსღველმან გავლექსე ამთენის ტყუილის თქმისათვს ლახვარ გულ დასობილმა აქამდის ამბავი იყო აწ მარგალიტად წყობილად გავხადე მარგალიტად ლექს უბნობს და წყობილად ლექსის გაწყობას.

8. მიჯნურსა თვალთა სიტურფე: რასაც მიზეზით ეს წიგნი თქვა ის ამბავი გაათავა ახლა მეორეთ სამღთოსაც მოჰყუა აბა ზოგი ვინმე რომ იტყუის რუსთვლის ნათქუამში სამ~ღთო არა ურევია რა მაშ ეს რა არის თუ ჳორცის მიჯნურობაზედ თქვა ეს რომლის ჳორციელ კაცისაგან იქნება სიმდიდრე და სიყრმე ჰქონდეს და მოცლა ან ეს როგორ იქნება მოცლილი იყოს უტმობდეს და მძლეს მტერს ერეოდეს მძლის მტრის მორევა და მოთმინება როგორ იქნება ასრე ახირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა მაგრამ ეს საერთოდ არ უთქვამს სამღვდელოს კაცზედ უთქვამს ასე რომ სამღვდელო კაცი წირვის იარადის გაწყობითა სულიერად ქცევთა და მადლით ერის კაცს ასრე უნდა ეჩვენოს ტურფად და მზეებრ გაბრწყინებული და სასუფეველის მიჯნურნიც ხომ სამღვდელონი არიან ასრე უთქვამს სიმხნე მოღვაწების შემძლებელად მადლი ამდენი უნდა ჰქონდეს და სასწაული რომე უხვად ყოვლს კაცს ამღვედეს როგორც პეტრე იოვანეთურთ ტაძარში რომ საპყარი იხილა და ქველი საქმე სთხოვა იმათ არ უთხრეს ჩვენ ოქრო და ვერცხლი არა გვაქვსო და რაოდენი გვაქუს მიქცეო იმ უხვებასა უბნობს სიმდიდრე მადლით სიმდიდრეს უბნობს სიყმედ რომე ვაჰკაცურად გარჯის შეძლება ჰქონდეს ასე მოცლას ეუბნება სოფლის ზრუნვა სასუფეველის მეტი არა ჰქონდეს რა ენა ქადაგებისა გრძელი და კარგი ჰქონდეს გონება კეთილის გონებისა სამღ~თო წერილთა სმენისა მოთმინება ჰქონდეს მძლე მებრძოლი ემმაკია იმას ერეოდეს თვარა თუ სამღვდელოს ესეები არა სჭირს სასუფეველის ტრფიალების და მიჯნურობის წესი დიად აკლდება.

9. მიჯნურობა არის ტურფა: აქა აჩენს ქალის მიჯნურობა რა ძნელი გვარია: ლოთებმაც იციან რა საქმელო დასაწერია: მაგრამე მიჯნურობას სამღთოს მიჯნურობისათვის ამბობს: ძნელი გვარი ის არისო: აქ აჩენს მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძესო: თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს: მაგრამ უბნობს მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო: და დიდი სამღვარი ძესო: და გეხვეწებათ ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურვინ გახდიო: რომ იმაზე არ მოსთქვამსო:

10. ხამს მიჯნური ხანიერი: ეს გასინჯეთ თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას: ხანიერად რომ იმუჯნუროს ქალი დაბერდება და კაცი: მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა კელი ეყრება: თუ კაცი არ დაიშლის არ უნდა ახანიერებდეს სანამდი ყმაწვილი იყვნენ მანამდი უნდა ცდილობდენ: მაგრამ საერთოდ და სამღვარელოს ამბობს და ბოზობას უშლის; გმართებთ რომ სასუფეველის მიჯნურნი იყვნეთ ხანგრძლად და არ მეძაობდეთ და არ ბილწობდეთ: მოყვარე კაცისა კაცივ არის და ამას ამბობს რომ კაცს მოსცილდეთ სასუფეველისათვის სულთქმა და უში გქონდესთო: მესამეს ლექს ერის კაცისათვის ამბობს პავლესათვის: თუ ვინმე ქალწულად დადგება ისი სჯობსო: თვარემ ხურვებას ქორწინობა სჯობსო: ახლა ამას გეუბნებათ გული ერთსა დააჯეროთ ქუში მოგხვდესთ თუ კუშტი: მძულს ამბობს ამგვარი უგულო სიყვარული ხვევანა კოცნა და მტლამა მტლუში: კაცი ცოლს ეხვეოდეს და ჰკოცნიდეს და სხვაგან ბოზობდესო: ამას ამბობს საძულველად:

11. ამა საქმესა მიჯნური: ესეც სამღვდელოსია ამ საქმეს მიჯნურნი მიჯნურობას ნუ უძახით: დღეს რომ სასუფეველის მიჯნურნი შეიქმნათ ხვალ სოფლისა: და სოფელის სიყვარულით ხვალ მისი გაყრა დასთმოთ: ბედითი ცუდსა ჰქუიან და მღერა თამაშობასა და იმას უბნობს: ეს ცუდის ყმაწვილის თამაშობას ჰგავსო და კაი მიჯნურისაო და იმას ამბობს ვინც სოფელს დასთმობს და მუდამ სასუფეველს ეძებსო:

12. არს პირველი მიჯნურობა: უხმს მოღვაწეთა ვითარცა იტყუის ქრისტე: იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი რათა არა ეჩვენო კაცსა მარხველად: ახლა ამას ამაზე უბნობს: თავი და პირველი მიჯნურობა ის არის რომ კაცი დაფარვით მარხულობდეს დამოღვაწეობდეს და საჯაროდ არ ირჯებოდეს თავის სენაკში იჯდეს სულ თავის ცოდვას იგონებდეს და მუდამ ხალვა ჰქონდეს: ხალვა მარტობას ჰქუიან: და სასუფეველზედ რომ შორს არის იმისთვის მუდამ იდაგებოდეს სურვილის ცეცხლით იალებოდეს: და დასთმოს წყრომა მეფეთაგან: და იმ სოფლისა ასეთი შიში და კრძალვა ჰქონდეს ვერც მეფის წყრომამ და ვერც სიკვდილის შიშმა ვერ გააშვებინოს: აბა ეს ხორცის მიჯნურს როდის შეუძლია რომე მეფის წყრომა არ ინადლოს რა:

13. ხამს თავისა ხვაშიადსა: ხამს კაცი: ხვაშიადი საჩუმოს განდობასა ჰქუიან: მოძღვრის მეტთან არვისთან ლაპარაკობდეს: ზმნა ქმნასა ჰქუიან : და რაც ცუდად ამას იქმოდეს რომ კაცსა და თავს ამხანაკს ავს ჯმას არ უყრიდეს: ამას წმინდა სახარებაც ბრძანებს: რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა: წველი ყანის ფხას ჰქუიან: არც უჩნდეს მიჯნურობა: არც იფერებდეს წესი არის სასუფეველისათვის: რაც კაცს ჭირი დაემართოს და გაისარჯოს სიხარლად უნდა უჩნდეს: და ქრისტესთვის როგორც წმინდა მოწამენი ცეცხლს იკიდებდენ ისე სხვაც ცეცხლს მოიდებენ:

14. მას უშმაგო ვით: ამასაც მოძღვრობაზედ ამბობს თუ უშმაგო ასეთს მოძღვარს ვინ დაიჭერს რომ მოწაფე გაამჟღავნოს: და იმ მოძღვრისათვის უბნობს: ამის მეტს რას ირგებს კაცს შეარცხვენს და ამით ავნებს და თავს წასწყმენდს და თავს ამით ივნებს: რალა გასახელოვნება შეუძლია მოძღვარსა თუ კაცის ცოდვა ქვეყანაში თქვა და ავი ჯმა დაუყარა

მომღვრისათვის მოწაფე მოყვარე არის მომღვარს რა გაუვა მოწაფეზედ თუ შიშს არ დსდებს: და არ ასწავლის არას აწყენინებს: ცოდვას არ დაუშლის და მადლს არ მოუწონებს:

15. მე რუსთველი : ხამს ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიალი უნდა იყოს: და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს: რომე მისის სამსახურისათვის თავს წასახდენლად და სასიკვდილოდ არ ზარობდეს: აწ ამბობს მე რუსთველი ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ იმან რომ უბრძანა ამის თქმას იმას ადარებს: რომე ამისთვის ვიქ და ამისთვის არისო: თამარ მეფეს მორჩილებად სპაცა და ჯარიცა: და უბნობს იმის სამსახურისათვის ვხელობ და ვკუდები: და მისის სამსახურის მიჯნურობით ესე ვერ გავმადღავარ: და ვერც რომელიც მმართვეს ის მიმსახურებია და უმსახურობის უძლური ვარო: და წამალი არა მაქვს განვიკურნო: ან ასრეთი სამსახური მიბრძანოს რომე გამადლოს იმ სამსახურმაო: და ან მამკლასო: საჩივარსავით ასმენს: და ამაში გავს რუსთაველი შემძლე და კაი კაცი ყოფილა რომე ძალიანს სამსახურსა სთხოვს:

16. ესე ამბავი: ეს ამბავი სპარსში არ არის: და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ: და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ჯელმწიფე რომ იყო ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო რომე ქართლშიაც არ იყოსო: და უბრძანა მის მდივანს რუსთველს ქართველის ენით კაი ლექსები თქვიო: აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო: თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად არ იპოვება: ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს: რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო: როგორც მარგალიტი ჯელის ჯელ საგოგმანო არს: გოგმანი ამას ჰქვიან ფრინველი რომე ნიადაგ კარგა იარებოდეს: ისე ეს ამბავი მარგალიტისათვის შეუდარებია: და ვპოვე და ლექსით სათარგმანოდ და საჭოჭმანოდ გავხადეო: ჰოჭმანი საქმე რომ ვერა ექნას კაცსა და დია მქნელისა იყოს ამას ჰქვიან: თავის ხელ მქმნელი თამარ მეფეა: ის ხელ მქნელი როგორც დამიწერია იმან დამმართაო ამას უბნობს:

17. თვალთა მისგან: ახლა მოჰყვა სხვასა ამბავს რომ მელექსეების საქმეს ამბობს: და პირველზედ კიდევ სამთო თქუა რომე თვალთ უწინდელთ ქრისტეს მოსვლამდი უნათლოდ უმჯობიაო: რომ ახლა ჩენნა ენატრათო: აი რამდენი გული გამიჯნურდა ქრისტესთვის რამთონი ველად გაირნენ: მეაჯე მახვეწარსა ჰქვიან ვინც ეხვეწებიან სასუფევლისათვის ჯორცსა სწვენ: მაგრამ ის კმარა რომ სულს ლხენას მისცემენ: და სამს ფერად სამებას ამბობს: ლამის ლექს დალევნა უნდაო: ერთი ეს არის რომე სამების ქებისათვის ვის ექნება მაქთენი სიბრძნე რომ არ დაელიოს: მეორედ ეს არის სხვას ამბავს მოჰყვა: და ისომ ვამბობდი ზეითი სიტყუა დაილია: ახლა სხვას მოვჰყევ:

18. რაც ვის რა : რაც ვისცა ბედმან მისცეს როგორც იოვანე ნათლისმცემელი კამ გეყავნ როჭიკი თქუენიო: როჭიკი ჯამაგირსა ჰქვიან: და პავლეც იტყუის ნურა რასა უფროსა განწესებულისა თქვენისა იქთ: ის მოუყუანია ვისაც რა მოგეცესთ იმას დასჯერდით: მუშა მუშაობს მეომარი გულოვნობს: მიჯნური რომ სამღვდელონი არიან მიჯნურობდეთ და გიყუარდესთ და სამლოთო სიბრძნეს იკითხვიდეთ და თარგმნიდეთ: სამლოთო საქმე არცა ვისგან იზრახოს და დაიწუნოს და არც სხვას სოფლის საქმესა თუ უსჯულოთ სჯულს შეუდაროს და შეუწუნოს:

19. შაირობა პირველა: მოჰყუა ამას რომ რადგან ლექს უბნობს ლექსის თქმას აქებს რომ თავის ნამუშავეს აკეთებს: პირველი შაირობა სიბრძნისა ერთი დარგი არისო: დარგი ერთს რიგსა ჰქვიან: სამლოთო რომ საღთოდ გაიგონოს და დაისწავლოს მსმენელთათვის დიდი

სარგებელია: ამ თავის წიგნს უბნობს ვინც კაცი კარგია და მსმენელი სამღმთოს ამაშიაც ბევრს გაიგონებს და იამებს: შაირს აქებს რომ გრძელს ამბავს მოკლედ იტყვს:

20. ვითა ცხენსა: იგავად მოუყუანია როგორც ცხენს გრძელი გზა და ბევრი რბევა გამოსაცდის: მობურთაღს მარჯვედ ჩოგნის ჯმარება და სწორად ბურთის კურა : აგრევე გრძელი ამბვის გალექსვა რომ მელექსეს რა ამბავი გაუგრძელდება: თუ არ იცის და სიბძნე და რიტორობა არა აქუს: გაჭირვებაში სიტყუაც შეუმოკლდება და ლექსიც გაუჭირდება:

21. მაშინდა ნახეთ : მაშინდა გასინჯეთ მელექსე და იმისი შაირობა: რა რომ ქართულს ვეღარ მოხდომოდეს: და ლექს ძვირობა დაეწყოს: მაშინ ქართული არ შეამოკლოს და სიტყუა მცირობა არა ქნასო: მცირე ცოტას ჰქუიან როგორც მობურთავმა კელ მარჯვედ ჩოგანი სცეს და დიდი გმირობა ქნას ისე ამ მოლექსემ:

22. მოშაირე არა: იამას მოშაირედ არ აგდებს ვინც თვითო ოროლს ლექსს იტყვს და გრძელის ამბვის გალექსვა არ შეუძლია: ყოვლს მელექსეს თავის კარგის მელექსისი სწორი ნუ ჰგონია: ერთი ორი და შორი შორი უმგზავსო გადანამც რომ კიდევ თქუას ეს არ ჩაიგდებაო: მაგამ ამგვარი უცოდინარი კაცი კაცს არ შეიცვილებს: და ჯორივით ფეხს მისდგამს ჩემი სათქვამი სჯობსო:

23. მეორე ლექსი: ეს ლექსობა სამად გაუყვია: ერთს ხომ ამ თავის ლექსს ამბობს: მართალი ლექსობა ეს არისო: და მართლაც ამბობს: და მეორედ ლექსად როსტომიანი და თუ ამ გვარი ლექსები ჩაუგდია: და ერთად ესეც მგონია ჩახრუხადეც მდივანი იყო და ისიც თავის ამხანაგს ლექსს უწუნებს და თავისას აქებს: და მეორედ ლექსად ესეცა მგონია და არ იდარებს მელექსეობაში კაი ნაწილს უდებს: და არც სიბრძნის ძალი აქუს იმგუარს ლექსსა: და არც გასრულება შეუძლიაო გულის გასაგმირალი თქვას რამე: გაგმირვა შიგ რომ მახვილი რამ გაუყაროს იმას ჰქუიან : ამად ცუდს მშვილდოსანს ყმაწვილს უდარის როგორც იმათ დიდი ნადირის სიკუდილი არ შეუძლიათ და წვრილს ხოცენ: ისე ამ გვარს ფილასოფოსებრი და ღრმა არა შეუძლია ცუდმადს ამბობსო:

24. მესამე ლექსი : ლექსად მესამედ სუფრის შაირობას უბნობს: ამას კარგად აგდებს: და მეორე ლექს კი იმას აჯობინებს და თავის ლექს აჩენს: რომე ეს ჩემი ლექსი არც საცრუო არის და არც სახუმარო და სააშიყო: და ამას უბნობს მესამეს შაირისას სააშიყოდ სალალობოდ სახუმაროდ და ამხანაგთა სათრეველად კარგი არიო: აშიყობა არაბულადაც ტრფიალობას ჰქვიან: და ლაღობა ხუმრობასა ჰქვიან: და ახლა უბნობს ჩვენს კარგს მოლექსეებს სუფრის შაირობაც კარგად გვიამებაო: რომელსაც ნათლად იტყვანო მაგრამე ოღონ სასიამოვნოდ უბნობს თორემ მოშაირებში კი არ აგდებს: ვინც კარგად და გრძლად არ იტყვსო:

25. ჯამს მელექსე: ეს ესაია წინასწარმეტყუელის სიტყუა უთქვამს: ესაია იტყვს ვა მათთვინ რომელნი წერენ სიცრუესა და ესეც ასრე ამბობს იმასათვის: მელექსე ჯამს თავის ნაჭირნახულევს ცუდს საქმეზეო არ აბრკვედეს და ცუდზედ არაზედ უბნობდესო: და თავის ბატონის დაყუედრებაც არის: ისომ თამარ მეფემ ამის თქმა დაპატიჟა რატომ ცუდს საქმეზედ ამ სიტყუას და წიგნს მახარჯვინებსო: ერთს სამიჯნუროდ ღმთს უბნობს: ერთი ის უნდა უჩნდეს სამიჯნუროდ და იმას ეაშიყებოდეს: და ყუელას იმისთვინ მელექსე კელოვნებდეს იმას აქებდეს და იმას ამკობდეს: და იმის მეტი ნურ ვინ უნდა საქებრად და ენას მისთვის ამუსიკებდესო: მუსიკი ბერძნულად მგალობლობას ჰქვიან: და აქ გასინჯეთ რომელი მიჯნური ქებულა მგალობლად თუ არ ღმთისათვინ:

26. ჩემი აწ: აწ ვერც მართლა ამ ზღაპრის თქმას მართლა თამარ მეფეს ადებს: რომე ბატონისათვის ვერ უკადრებია: და თუ კაცი გაუსინჯავს არც თვითონ იდებს: და უბნობს

ჩემი ახლა სცანითო: ვინც მიქია მას ვაქებო: ვითამ ლთი უქია და იმასვე ვაქებო და იმისი ქება დიდად სახელად მიმაჩნია და არც თავს გავიქიქებო: განქიქება გაწბილებას ჰქვიან მაგრამე აწ თავის მეფისას უბნობს თავისი მეფე სიცოცხლედ უთქვამს: ასე სიცოცხლეა მეფე კაცთათვის რომე იმითი რჩებიან და იმას დაფარვით უბნობს: ეს ჩემი სიცოცხლე უწყალო არის ჩემთვის ვითა ჯიქი: ჯიქი ბაბრია რომე ამაზედ არ შემინწყალა რომე ლთის ქების თქმა არ მიბრძანა: და ზღაპარს მალექსებსო და რადგან ასრე მოუნდა აწ იმას უბნობს ვისიც მიბრძანა იმათი სახელი ქვემოთ მითქვამს და შეფრქუევით მიქიაო: შეფრქვევა ხშირად ზედ შეყრას რასამე ჰქვიან:

27. ვთქვა მიჯნურობა: ამ ზღაპრის თქმას მეფეს აბრალეებს და თვითან კიდემ სამღთოს მოჰყუა და უბნობს: ვთქვა მიჯნურობა პირველი ვითამ თუ პირველ სასუფეველის მიჯნურობა: და უბნობს ჯერ ისი ვთქვათო და მერმე ზღაპარიო: და ამბობსვე სასუფეველის მიჯნურობის ტომობა და გვარობა რაც არისო: და ძნელად სათქმელად და ენისაგან გამოსაგებლად უბნობს იმის საქმეს და სიმდაბლითაც უბნობს: ვითამ დიდი ფილასოფოსი არა ვარო და არ შემიდლიაო და ასრე ამბობს ის ზეციერი საქმე არის: აღმა ამაფრენელი ვინც იმას შეეცდების ამ სოფლის წყენისა მრავლის მოთმინე უნდა იყოს:

28. მას ერთსა: იმ ერთს მიჯნურობას სასუფეველის მიჯნურობაზედ უბნობს: და იამს ჰკვანნი ძნელად იპოვნისო და მრავალთ ენაც დაუშვრა და ყურნიც დაუვალთანდა: ახლა თავის ზღაპრისას ამბობს ეს სოფლიოდ ვთქვიო თორე მე იმას სად მივსწვდებოდიო: და სწავლად უბნობს ვინც არ ისიძავს და ქრისტესთვინ ნდომას დასთმობს და სწორის ცოლ ქმრობით იქნების: ესეც იმისივე სასუფეველის მიჯნურის მდომის მიბაძვა არისო:

29. მიჯნური შმაგსა: მიჯნური არაბულს ენას სთარგმნის რომე შმაგსა ჰქვიანო: და ამას ამისთვინ უძახითო რომე ვინც რასმე მოინდომებს და შოვნის ნდომა გააშმაგებს და სხვას ჰკუას აღარ გამოეკიდების და აღარცარას მის მეტს ეძებს: და უბნობს ზოგთ სამრთოსა და სასუფეველის ახლო მყოფობა აქუს მაგრამე ბევრი აღმაფრენაზედ კიდევ დამაშვრალა ეშმაკის საფრთხით რომე უცდენია და ველარ აუწევიაო: ზოგთ ქვე აქვთ ჯორციელთ საქმეზე გუნება: რომე კეკლუცი ლამაზს ჰქვიან და რაგინდა რას ლამაზს მოინდომებს და იმას შეჰფრფინავს:

30. მიკვირს კაცი: ამას გაკვირვებით უბნობს საყუარელი ქრისტეს ჰქუიან: ამ ქრისტეს სიყუარულს რატომ იჩემებს კაცი: თუ ეს უყუარს რატომდა ქვეყანაში აყივნებს მისთვის დაწყლულელებულს ქრისტეს და ქვეყანაში აყივნებს: და თუ არ უყუარს რასთვინ არა სძულს არ გაეცლების: რაზედ აყივნებს თავის საძულველს ისომ მოძულელებულის მოყივნებას არავინ დაუჯერებს: მაგრამ ავს კაცს ავი სიტყუა სულსა და გულს ორსავე ურჩევნია:

31. თუ მოყვარე მოყურისათვის: ახლა კიდევ ეს ამბები გაათავა: და თავის ზღაპრის გალექსვას მოჰყუა: და შესავლად კიდემ საღთო დაუწერია: მოყვარე კაცისათვის ს ქრისტე არ ბრძანებს სახარებაში იუდასათვინ: მოყუასო რისათვის მოსულხარო: თუ იუდას მოყუსობას ეუბნების სხვანი ხომ უფრო მოყუასნი იქნებიან: და აწ იმას უბნობს თუ კაცი ქრისტესთვის ტირის: ტირილს ემართლებს და ვინც იმისთვის იარებ ის და მარტო მყოფლობს: შვენის და გაჭრაც კარგათ დაეთვალების: და გვწვრთნის გვიწმს რომე იმას ვიგონებდეთ: ნუ გამოვეცლებით ნურც პირიდამ მოვიცლით და ის სჯობს რომე როდესაც კაცს შევეყრებით იმის მიჯნურობას არც ვიჩემებდეთ და არც კაცთან ვიქადებდეთ ფარისევკურადცო:

32. იყო არაბეთს როსტევან: რადგან საღმთო ნახა რომ არვინ კითხულობდა სოფლის ზღაპარი უფრო წაიკითხევდენ: სოფლიო ზღაპარი მოიგონა: მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს რომ საცოდავი იყოს: ჰელმწიფენი უშვილონი იყვნენო და თვით ქალის მეტი არ ჰყუანდათ რაო: და იმათმა უფროსის შვლებმან ისინი ქვეყნის ჰელმწიფობის გულისათვი

ცოლად მოინდომესო: რომ არ ქვეყანა წახდესო და არც მეფობა მოიშალოსო: და იმ ქალებმა თითო სამსახური დაადებინა რომ თუ კელმწიფობას ღირსაო გამოაცდევინა: და ამ სამსახურზედ დიდროანი სახელი აქნევინა: რომ ქალებს მოანდომა: წესია რჯულში თუ ქალიც არ იტყვის და კაციც ერთმანერთი არ არი რიგი რომ მისცენ: და ვითამ თავის კაცობა ამთონი აჩვენებინა რომ რჯულიერად შეყრა და მეორე იმათი ქება სულ კაცის სასიკეთოთ მოიყვანა რომე ვინც იკითხვიდეს ისწავლონ თუ ქმარს ცოლზე როგორი სიყვარული მართებს ან ცოლს ქმარზედ ან ქალს რა საქციელი მართებს ან კაცსა: ან რა მამაკაცს კაცს როგორ უნდა სჭირდეს მოყურობა თუ რაც კარგია ამ მიზეზებით დასწერა: რომ კაცმა ისწავლოს და ახლა მოჰყუა იმათს ამბავს: და უთქვამთ იყო არაბეთს როსტევანო რომ ამ ერთს ლექსში რაც კელმწიფეთ საქმეა სულ გაუთავებია რომ მეფეს ესენი უნდა სჭირდეს:

33. სხვა მე არ ესვა: უბნობს იმის მეტი შვილი არ ჰყუანდაო: და იმ ქალის ქებას უბნობს: მჭვრეტს სულს წაუღებდაო: ბრძენი ხამს მისი მაქებარო რომ ენა ბევრად ასული ქონდესო: ასული მალ რომ ასულიიყოს ის არის:

34. მისი სახელი: გამოაჩინა იმ ქალისა თინათინ ქვიან და რომ გაიზარდა: მეფემან ვეზირები დაისხაო და ლაღად და წყნარად ზისო და ამოდ ეუბნება ვეზირებსო: ლაღი მოხუდარსა ჰქვიან ამ საამოვმოდ დაუწყო საუბარი ლაპარაკია როსტევან უხმო ვეზირნი: კმობა დაპატუებასა ჰქვია და დაჰპატიჟა ვეზირთაო და ფარულად რჩევას ვით რომ შვილი არა მყავს და რა მმართვესო ჰკითხავს:

35. უბრძანა გკითხვ: უბრძანა ვეზირებს ერთათა გკითხაო: ამას რომ ვარდათ თავის თავს უბნობსა როგორც ვარდი რომ დაჰკვნების: ის წავა და სხვა მოვა ისე მე დავჰკნო: ახლა სხვა უნდა მოვიდესო და მზედ თავის შვილს უბნობს: ის ჩაგვისვენდაო: და ღამედ თავის უშვილობას უბნობს: და მთვარედაც შვილს უბნობს უშვილოდ არის და უშვილობას სჭვრეტს:

36. მე გარდავსულვარ: მე წაველო და სიბერე ჭირისაგან უარესად უთქვამს: და თავის ქალს თავის მზედ უბნობს: რომ იმას გავაჯელწიფებო:

37. ვაზირთა ჰკადრეს: ვეზირთა თავაზიანი სიტყვა ათქმევინა: ვარდათ მეფე გახადა და ვითამ რაგინდ რომ ბერი იყო მაინც თქვენვე სჯობხართ სხვას: ერთობ დაშალეს ვეზირთა დაუშალეს თავაზისათვის ვეზირთ: მაგრამ იმ მეფის ძალიანობას აქებს რომ რაც უნდოდა ის ქნაო: რომე იმას მეურჩე არ ჰყუანდაო:

38. მაგას ნუ: რადგან აღარ დაიშალა ვეზირებიც დაემოწმენ: ჯერ ბერი არა ხარო: და თუ გინდა რომელიც გინდოდეს ის ქენო:

39. თუცა ქალია: მოახსენებენ ქალი რომ იყოს ხომ ეგეც ღთის დაბადებულისა: არ გესათნოების მეფობა კარგა იცის უთქვენოთაც გვითქვამსო: მისის შუქის დარად მისი საქმე გამოჩენილი არისო: და რა იქნებაო მეფეს ლომად ხდიან და როგორც ლომის ლეკუის ძუსა და ხვადს მამაცობაზე განყოფა არა აქუს უბნობენ ისე თქუენი შვილიო:

40. ავთანდილ იყო: ავთანდილი გამოაჩინა: ახლა სახელიც თქუა და რისაც საქმის მჭერე იყო ისიც: და თინათინის მოგონება ჰკლევდა რომ ის ცოლად უნდოდა:

41. გულსა მისი: მის გულსა ატანდილისას უბნობს თინათის მიჯნურობა იყო: და საბრალოდ უბნობს ვისც რასაც ფერის სიყუარული ექნება: რომ გულს მოუკლავსო:

42. რა მეფედ: რა მეფემ მისის ქალის მეფობა ბრძანაო: ავთანდილს იამა რომ მისი ნახვა მალმალ მეღირსებაო: რომ მისთვის ფერ გამკრთალი იყო:

43. არაბეთს გასცა: არაბეთს მისის გახელმწიფების ბრძანება გასცა: და თავის კელმწიფობით მოიკსენა თავისი ქალი: ორად უთქვამს ერთად ვითამ სხვის კელმწიფის ყმა

არ იყო: და მეორედ თავის ჯარს ახედებს რადგან ჩემი კელმწიფე შეიქნა: სხვას ურჩობა ვიღას გმართებსო:

44. მოვიდეს სრულნი: როსტენ კელი მოჰკიდა და დასვა მეფედ: და იმას უბნობს რომ ის მეფობა როსტენ უბოძა რომ მეფობის მისათვალავად მოდევანაო თავისას ამას ამბობსო: მე დავბერდი და დავსძაბუნდიო და რაც ღთისათვის მიცოდავ იმის შენანებას ვეცდებიო: რომ სიბერეში სინანულს და ცოდვის მონანებას ასწავლის მკითხველსა:

45. თინათინ მიყავს: ისევ თინათინის მამისაგან წაყვანას უბნობს სამეფოსა საცმელის შემოსას: რომ სკიპტრა ჯოხია თავზე აქვს სკიპტრა მომცრო მეფეთა საჭერი: და მეფეთ შესამოსი პორფირი ბისონო და დიადემა: რომ ისეები შემოსაო პორფირი იისფერსა ჰქვიან: დიადიმი სამხრეა: მხარს დაფარავს:

46. უკუდგეს და თაყუანის: მეფემ და ჯართ თაყუანისცეს: მეფემ ვითამ ამაზე უბნობს რომ თაყუანისცაო: სხვა რომ ნახევდა უფრო დაემორჩილებოდენ და თინათინის ქებას სხვაგან სხვაც უბნობდა: ვითამ გარეშემო მეზობენლი აქებდენ არის:

47. მამისა ტახტსა: ქალს სიმდაბლეს და მორცხოზას უქებს: რომ მამის ტახტზე თავის საჯდომად არ ეღირსებოდა და ტიროდაო: და მამა ყოველთა ღთია და უბნობს ყოვლისა მამა მეფეს სწვრთნიდაო: იმან აქნევინაო და მე ქრისტედ უბნობს ის ითასებსო: მეფე უბნობს სანამდი ამას ვიქმოდით დამწველი ცეცხლი არ დამეცებოდაო:

48. უბრძანა ნუ: ქალს აწვრთნევიანებს მამასა: და უბნობს აქადამ ეს სამეფო შენი არიო სამძღვები ასწავლა: და მეფეთა ქნა სიწყნარე და ცნობილობა მართებულაი:

49. ვარდთა და ნეხვთა: მეფეთ ქებად მზეც ითქმის და იმას უბნობს რადგან იმას შესდარებია მეფენიო: როგორც ის თავის შუქს არც ავსა და არც კარგს დარიდებსო: ისე შენ გმართებსო რომ წყალობა არ რიდოო რომ უხმობით ახსნილი მტერი რომ გყვანდესო დააბამო თვით და არ დაებმისო: და გაცემას უადვილებს ასწავლის მეფეთ როგორც ზღვას შესდის და გაედინებისო ისე შემოგდის და გაეცო: და ზღვის გადენაც უთქუამს რომ ბევრმა კაცმა არ იცის ზღვას გაზდის თუ არაო უსწავლებია: და ეს რაც ამ წიგნს უკან მეფეები ყოფილა და იქნებიან ყუელას სწავლა ამ ამბვის მოყუანით და თქუმიტ მეფეთ საქციელი უთქუამს: რომ ისწავლონ:

50. მეფეთა შიგან: მეფის სიუხვეს ასწავლის: შენახვა არ ვარგაო და რასაც მისცემს სახელი დარჩება და ის არის იმისი: თვარემ რასაც შეინახავს ის ხომ მოკუდება: ის სხვას დარჩება და იმისთვის დაკარგული იქნება:

51. ამა მამისა: ახლა სწავლას ისწავლება: სწავლის მოსმენა ასე ხამსო ამ ამბვის მიზეზით: და უბნობს ის თინათინი მზეს სწუნობდაო: მაგრამ მზე თინათინობდაო: თინათინი სარკეს თუ წყალს მზე რომ დაადგეს: ის შუქს გაუშვებს ის არი:

52. მოიხმო მისი: ახლა თინათინის გაცემას უქებს: რომ თავისი გამზრდელი მოიწმო და თავისი რაც უფლის წულობაში ჰქონდაო გასცაო: ორ რიგად უქია ერთი მამის სწავლა რომ დაისწავლა და ერთად გამცემად:

53. მას დღე თავის ყმაწვილობიდან მოგებულს საქონელს გასცემსო: და მამის სწავლებულს საქმწსა იქსო:

54. უბრძანა წადი: ლარი ფარჩას ჰქვიან: მეკობრე მტაცებელს ქვიან: ტაიჭი კეთილ ცხენს ჰქვიან:

55. ალაფობდეს საჭურჭლესა: ნათურქალობა ამად დაუწერია: ქართლში რომ თურქი მოვიდა დავით აღმაშენებლის მამის ჟამში და დავით ის ალაფა ვითამ იმისთვის

ალაფობდენო: შესატკობზრად უქნია: და ქვე სახელი არის რათა იმერეთს სიტყვის მოზმაში დაატანებენ ქვე სიტყუას გააწყობს:

56. **დღე ერთ:** ახლა ამ ამბვის მშვილდოსნობის სასწავლად უნდა თქვას და ტარიელც გამოაჩენსო:

57. **თავსა ზის :** ჯდომას უბნობს რომ ავთანდილ თავსა ზისო: და ვეზირს ზეითა სვამს რომ ვითამ იმის უფროსი არავინ ყვანდა:

58. **თქვეს თუ:** ამას ისწავლება ვითამ მოწყენილს მეფეს გასამხიარებელი სიტყვა ამგვარის დიდის ყმისაგან მოეხსენებო ხუმრობაო:

59. **ადგეს სოგრატ:** კენარი მე არ ვიცოდი და ვინც იცოდეს სთარგმნეთ:

60. **დაგიღრეჯია მეფეო:** არც დაღრეჯა ვიცი მართალი:

61. **რა მეფემან:** მეფეს სწვრთნის ამგვარი სიტყვა და მოხსენება არ უნდა იწყინონ ლხინში:

62. **ეგე არ :** ამას უბნობს მეფის სიბერეს აჩენს რომე: იმის საბრძანებელში იმისთანა კაცი არ იყო: ად ავთანდილის ქებასაც უთქვამს რომე მეფესა და სხვასა ყველასა ავთანდილს ამჯობინებს:

63. **ერთია მიზის:** სათუთი ნებიერსავით არის: ესეც კიდევ იმის მისამგზავსებლად უთქვამს ამბავის გასრულებისათვის:

64. **ყმა მეფისა:** ეს ბატონ ყმობის სასწავლებლად უთქვამს: ბატონის ბრძანება ყმამ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმინოს: და კიდევ უნდა რცხვენოდეს და კიდევ უნდა ემინოდეს:

65. **კულავ უბრძანა:** ეს იმათს ამბავსაც ამბობს: და ამასაც უბნობს ბატონი რომ ყმას სიტყუას უბრძანებდეს ყმა უნდა ჰკრთოდეს: განა კი იცინოდეს და ეს კითხვა წყრომასავით უბრძანა: რასათვის დამგმეო ვითამ ყმისაგან გაცინება დაგმობად თქვა: და ავთანდილც რადგან იმისთანა ყმა იყო ამ ცოტას სიტყვით შეაშინა: და ავთანდილ ფარმანი სთხოვა: არ ამიკლოო და მოგახსენებო: ვითამ ბატონყმობაზედ მოუყვანია ბატონის ცოტა წყრომა კაცმან უნდა შეიფეროსო:

66. **უბრძანა რა:** წელან ყმის ამბავი თქვა: უნდა მკრძალი იყოს ახლა ბატონისას ამბობს: კაი ყმა ასე უნდა უყვარდეს რომ ამისთანა სიტყვა უბრძანა:

67. **მიწამცა თქვენი:** ისივ ამბავი არის და ბატონ ყმობის ხუმრობას და ლაპარაკს და შექცევას ისწავლება:

68. **კულავ ბძანა:** რადგან ავთანდილს აქებს იმის გაზრდილ ყმასაც აქებს რომ თორმეტს კაცს იმ ერთს ადარებს:

69. **მონადირეთა უბრძანა:** აქა ნადირობის რიგს ისწავლება და იმათს ამბავს უბნობს:

70. **დილასა ადრე:** რიდე თავსახვევსა ჰქვიან რომელსა ინდნი და სპარსნი თავს იხვევენ და არაბნი:

71. **შეეკაზმა მეფე:** სრვა ამოწყვეტასა ჰქვიან:

72. **უბრძანა მონა:** კიდე ნაპირს ჰქვიან:

73. **მოვიდა ჯოგი:** ქურციკი ჯერანს ჰქვია დაშრომა დადალვას:

74. **იგი ველი:** ალვის ხე კვიპაროზსა ჰქვიან ნაძვს რომ გავს: ედემი შვებასა ჰქვიან და საშვებელის ხედ უბნობს ავთანდილის ქებას:

75. **მონათა ჰკადრეს:** ეს ავთანდილ გამოუცენია რომე ბატონის და ყმისათვის ყუელასათვის უმჯობინებია:

76. **ორივე ერთგან:** ასჯერ ოცი ორი ათასია:

77. **მეფესა ესე:** ავთანდილ მეფეს გაეზარდა და იმისი სიკეთე უზაროდა და ამასაც ისწავლება ბატონს კაის ყმის გაზდა ასე უნდა იამოსო: დარდი თათრულია წყენას ჰქვიანო:
78. **ნახეს უცხო:** ვარდი ღაწვად უთქუამს და ახლა ტარიელ გამოაჩინაო:
79. **მას ტანსა** ტარიელ იმ ხანად გარეთ იყო ფარჩას ხომ ვერ იშოვნიდა გაველურებული იყო ვეფხის ტყავის ჩაცმას ამბობს:ს
80. **მოვიდა მონა:** გაი სპარსულად ყუავილსა ჰქვიან და ქართულად ტვივა ჰქვიან:
81. **ველა ჰკადრა:** ტარიელის მაგარ კაცობას აჩენს რომე კაცი შეუზარდებოდა მზერასაო:
82. **მის მონისა:** საუბარი ლაპარაკსა ჰქვიან და გრძნობა შეტყობას ჰქვიან: ამოსკუნა ტირილით რომ კაცი სლოკინობდეს ის არი:
83. **რა პასუხი:** გარეტება ამას ჰქვიან კაცს თავში მოხუდეს და უცნობო შეიქნას:
84. **მეფე გაჰკვრდა:** ჯელმწიფის გულის სათუთობა მოუყუანია ასე ცოტაზე იწყენს და სათუთიაო:
85. **მონანი მიდგეს:** მონა ნასყიდსა ჰქვან გინა ნამზითს: ტარიელ უბრალოს სისხლს დარიდა და გაეცალა სანამდი ძალი არ უყუეს ჯელი არ გამოილო:
86. **თვალთა ჯელნი :** კაპარჭი საფთეს ქვიან და ისწავლება თუ რა მტერი ნახოს რა იარაღის მომართვა მართებს:
87. **კული მებნეს:** არაბისტანში რომ თვალს წინ დაეკარგება და იმის ცხენს აქებს იმისთანა იყოო:
88. **ბრძანა ღთსა:** ეს ორს საქმეზედ უწყენინებია როსტევან მეფისათვის: ერთი ამისთვის ჯელმწიფისათვის უკადრისია ერთი საქმე ან არ უნდა ბძანოს და თუ ბძანოს ქნას: მეორე ეშმაკის მგზავსად რომ დაიკარგა და ჯელმწიფე ეშმაკის საფრთხის მორიდალი უნდა იყოს კურნება გამთელებას ჰქვიან და წყლული დაჭრილსა:
89. **ესე თქუა:** ასპარეზი ორასს მხარის მინდორსა ჰქვიან ვითამ მინდორში აღარ იბურთა და ითამაშაო ახლა ჯარის ძრახვა რომ დაუწერია წესი არის მეფემ რაც ქნას ზოგი შეიტყობის და ზოგი ვერა ზოგს მოეწონება და ზოგთა არა:
90. **მეფე საწოლს :** ბედითი ცუდსა ჰქვიან:
91. **ერთაი ახლავს:** თინათინ დიდად საყუარელი იყო როსტევან მეფისა და იმას აჩენს მამის წყენას შვილი უნდა ერიდებოდესო:
92. **უბრძანა თუ** ჰმუნვა ასეთი მოწყენა სიტყვას სათქმელად ზარობდეს:
93. **უბრძანა შვილო:** მუფარახი მაჯუნსა ჰქვიან: თათრები მუფარახს ეძახიან:
94. **უცხოსა და საკვირველსა:** სამყარო იმ ცასა ჰქვიან ზედ რომ სასუფეელია: თინათინს აქებს და მამა რჩევას აკითხვებს ვითამ ასე ჰკუიანი იყოო რომე თინათინის ჰკუას აჩენს და მამაშვილობასაც ისწავლება თუ მამას რა სიყვარული და შვილს რა სათნოება მართებს:
95. **მე რა:** ეშმა ნახევარი სიტყვა იქნება ქართულში ნახევარი სიტყვად ითქვას ეშმაკია:
96. **ტკბილი მისნი:** ნეტარება ეს არის რომე კაცი ასე კეთილის საქმით იყოს რომე არა აკლდეს რა აწ ამას ჩივის ვედარავინ გამანეტაროსო:
97. **ქალმან ჰკადრა:** ყბედი ამას ქვიან კაცს კარგი უთხრა და იმან მაგიერი პასუხი ავი უთხრას და ამ ლექსში გამოუჩენია ღთი ტკბილი არისო როგორც მოციქული იტყვის ღთი ნათელი არის იმასთან სიბნელე ბნელი არ არის იმასაც ამისთვის უთქვამს ახლა მამამ რომ უთხრა ეშმაკი ვნახეო ქალი თავაზით მოახსენებს: ღთნ რომ შენ ყოველი კეთილით ჯელმწიფობა აღგვისო შენთვის ბოროტს არ დაბადებდაო ბოროტი ავსა ქვიან:
98. **მე ამას :** მფლობელი რისაც მჰყრობელია:

99. **მოასხნეს კაცი:** პატიჟი უპატიურსა ქვიან:
100. **კაცი წავიდეს:** მაშვრალი დაღალულსა ქვიან ზადი თათრულია:
101. **ესე თქვა:** მგოსანი აფუზი არის მოშაითი ჯამზაზია: და შემოხადა შემოიპატიჟას ჰქვიან:
102. **ავთანდილ ჯდა:** ის ამზავი გათავდა: ახლა სხვას მოჰყვა მანგი მეგრულად მარგალიტსა ქვიან და თათრულად მთვარესა:
103. **ავთანდილს მიხვდა:** კარგად უთქვამს იმ ქალის შოვნით მეფობას იშოვნოდა და ჯელმწიფის შვილს ცოლად შეირთავდა ამაში კაის მეტი ხომ სიძვისა არა არის რა თუ ბოზობა ნდომოდა ერთმანერთს ხომ ღამით და დღისით ნეხევედენ განა ვერას იქმოდენ მაგრამ ქორწინებამდე ამისთვის არა დაუშავებიათ რა მამ ბოზობის რიგისათვის არ უთქვამს ეს რომ სწერია ამოა ჰვრეტა ტურფისაო საყვერწლისაო სამღთოსა და საეროზედ ორზედვე უთქვანს კაცსა რომ უყვარდეს რამე იმის ნახვა დიდად იამების:
104. **ავთანდილ:** ვამი ამას ჰქვიან მისის ვაისათვის ბევრჯერ ცრემლი სდენოდეს:
105. **ყმამან ჰკადრა:** რადგან არჩევანი ამას მოახსენებს თქვენის საზაროს მოხსენება ჩემგან როგორ ითქმისო როგორც მთვარე მზის შემყრელი დალეულია ისე მე დავილიე თქვენის ხლებითა ახლა მე საზაროდ სადღა მცალია ჩემი თავი მეგონებისო და თქვენვე მიბრძანეთ რაც გეგონებისო:
106. **ქალმან უთხრა:** კეკლუცი ლამაზია და დუხჭირი გონჯი ერთი ჟამი სამოცი წუთია და ერთი წუთი სამოცი წამია და ერთის წამის ხანის ყოფას ამბობს:
107. **გახსოვს ოდეს:** დამჯობა პირ დაღმა დაცემას ქვიან ნუკვა თხოვას:
108. **აქანამდის ნაუბარსა:** დაუტყვა დატყვევებას ჰქვიან და გულის სიტყუისათვის დამძიმებასაც: უტყვება დამუნჯებადაც ითქმის:
109. **ასრე გითხრა:** ჭორი საეჭოს ჰქვიან:
110. **შენგან ჩემი:** დამყარება ასე იყოს რომ არ შეიძრას ბილწი ფინთსა ჰქვიან:
111. **სამსა ძებნე:** უბძანა სამს წელიწადსა ეძებეო პირობა უბოძა: იპოვნი თუ არა მაინც შეგირთაო მწვე არა გაქვს ბოზობას სამს წელიწადს იარეო და მასუკან შეგირთავო:
112. **ფიცით გითხრობ:** ქმრობის სიყუარულის ეუბნება: შორს აჩენს სხვა არა არის რა ასაქმარი აქნას ჰქვიან:
113. **მოახსენა ყმამან:** გიშერს წამწამად ამბობს: და ბატონ ყმობის საქმეს აჩენს სამსახურისათვის ვეწამებო:
114. **კულავცა ჰკადრა:** ცოლ ქმრობის შეფიცებას ამბობს სალი მაგარსა ჰქვიან: და ჰვირვა გამოხედვა არის:
115. **ერთგან დასხდეს:** ბოლოების სათარგმნო არ მითარგმნია თქვენ თარგმნეთ შეხვევა რომ სწერია სხვა რიგად არ შეხვეულან: ხვალ წასვლა რომ უთხრა იმისთვის გამოესალამა:
116. **ყმა წავიდა:** მჭევრი სხვასა და სხვას სიტყვს გვარსა ჰქვიან:
117. **თქვა მზეო:** ეს თავსაც დამიწერია და მოყვრობის რიგსა და ცოლ ქმრობის რიგებას ისწავლება რაც რამ კარგი რამ არის ყველგან მოუყვანია და ზნეობაებს ისწავლება:
118. **მოშორებება საყუარლისა:** ღაზო შურსა ჰქვან და ნაზი სუფთას დარბაზი მეფის პალატასა ჰქვან და ბატონის სახლებლად წავიდა და ახლა რომ იტყვან: უდარბაზოთ საუფროსოდ ითქმის უდარბაზოდ ვიუფროსოთო:
119. **დარბაზს ეჯიბი:** ეჯიბი ქართველს ბატონს ჰყოლია ჯელ ჯოხიანსა ავით თავსა გაუყრელად სდგომია და მას ყოდნენ ეჯიბო მეფეს რაც სიტყვა ჰქონდეს ეს მოახსენეო დღესაც ქორწილობაში კიდევ იციან:

120. **მეფესა ეთქუა:** ქველი კეთილსა ჰქეუიან:
121. **გამომართა ავთანდილ:** ნივთი ყოვლს საფერს საწმარსა ჰქვან კაცისა რომ კაცს ემართოს რამე ვალი იმას ჰქვან ახლა ასე უთქუამს რადგან ამისთანა მისახმარისია სოფლისაგან ვალად აძე ქუეყანასა:
122. **რა მივიდა:** იეფოს ეს არის რომე მძიმეს ძღვენს იეფად სძღვნიდენ და სადაფოსა სახარულით დაფი რომ დაუკრან ის არის:
123. **ქალაქი ჰქონდა:** საზარო რომ სწერია საშიში ციხე იყო:
124. **ესეა მონა:** ამას ისწავლება კაცმან თავის ხვაშიადი ასე უნდა შეინახოსო იმისთანა ყმა იყო და იმანაც არ იცოდაო:
125. **უბრძანა აჰა:** პატიჟი უპატიურობა არის სურვილი ნახვის ნდომა არის ნარგიზად ქუთუთო უთქუამს და ვარდი ხომ დაწვი არის:
126. **მიბრძანა მიცან:** გასინჯეთ ბოზობაზედ როგორ შორს არის ყოვლგან ქრმოზას ამბობს: დადაგვა დაწვალს ჰქვიან:
127. **პირველ ყმა :** ყმას როგორი ყმოზა მართებს პატრონისა იმას ისწავლება მური ცეცხლის კუამლსა ჰქვიან:
128. **ლაშქართა და დიდებულთა:** გრძნობა შეტყობას ჰქვიან;
129. **ლაშქრობა და ნადირობა:** სახე ამას ჰქვან რომე ერთი მეორესა ჰგვანდეს და თუ გრძლად შეტყობა გინდათ კათილორიაში ნახეთ დაჰნა ხე ხე არა დაჰნაო:
130. **მაშინდა ჰკადრეს:** აქა გლახათ მოწყალებას ისწავლება:
131. **მაშინ უფრო:** საურავი გარიგება არის: შევედრება შეხვეწება არის მომდედრე დედებრივი გულის შეწუხება არის:
132. **რა მონამან:** შეზარება შეწუხება არის:
133. **ყმამან:** ამას იგავსავით ეუბნება ქრისტეს სასუფეველს მარგალიტს უდრის და ამას ამბობს ის ამ სოფლის გაუჭრწლად არ იშოვებო მარტო უნდა გაჭრა სასუფეველისათვის ვითამ ცოლ ქმრობა რომ უცოდველია მეც ამ მარგალიტისათვის მარტო გავიჭრებო ბოლოს ამბობს სიცრუე და ღალატობა არც სამღთოსა და არც საეროში არ ვარგა თუ არ ღახვრით დასაჭრელად:
134. **ვისმცა უთხრა:** კარგი რიგსა ჰქვან ახლა რომ ცემახით იმას არა ჰქვიან:
135. **ფათერაკი სწორედ:** ცვა შენახვასა ჰქვიან დასი ჯარსა ჰქვიან საბოტონო რომ იყო ხასი იმას ჰქვიან:
136. **დასწერა თუ:** საწადელი ნდომას ჰქვიან:
137. **მიწაცა თქვენი:** ბატონისაგან მიწობა ყმას ხომ არ მიეწერება და არც სატკეპნელს მიწად მიუწერია ვითამ მიწად თქუენს მზრდელად და დამარჩენლად მე ვარო და უჩემოდ თქუენი ყოფნა რა იქნებო ამ ლექსშიდ მშვილდოსნობასაც უქებს:
138. **საქმე რამე:** მუდარობა ხომ ხვეწნას ჰქვიან:
139. **მე შერმადინ:** მზეებრ მოფენა ჯელმწიფური რიგი არის და ვარდს აზრობდესო ვითამ დაწვს აზრობდეს და სულ ნუ დააჰკნობს რომ არ მოკუდეს:
140. **თქუენცა იცით:** ბატონის სიკუდილისათვის ყმის მგლოვიარობას ისწავლება:
141. **ესე წიგნი:** წყლიანი ჯავრიანი არის: ღარიბი არაბულად უცხოს ჰქვიან:
142. **ბძანა წადი:** მიწყვივ ნიადაგ არის:
143. **იგი ველი:** ველი გარეშემო რომ ტყე ჰქონდეს და შუაზედ მომცრო მინდორი ჰქონდეს ის არის: გაკიდება განაპირება არის: კაემანი მოწყენასავით არის:

144. **შერმადინ ერთგან:** უსტარი მინაწერი წიგნი არის: დაწყებულია ჯორჯი გაჭრილი და დაბალმეზულია: და ლები დალურჯებას ჰქვიაან:
145. **ყოველთა ჰკადრეს:** არამი თათრული არის ნაუსამართლევს ჰქვიან გაღანამცა აგრე სიტყვს დასამოწმებელი არის:
146. **ამა საქმესა:** დივანოსი არიოპაგელი დიდი ფილოსოფოსი იყო კერპთა და პავლესაგან მოიქცა და ეპისკოპოზად აკურთხა: ვისცა იმისის სიკეთის ცნობა გინდათ იმისის წიგნის კითხვით შეიტყობთ აწ იმას მოწმობს და ეზრა წინასწარმეტყუელს და სამღვდელს დასს რომ ასწავლის სამღვდელს საქმეს ვარდად ხდის და ამბობს ბრალია სამლოთო ვარდი ცოდვით დათრთვილული იყოს და დაზრულიო: და რომელიც ლოცვისა და მარხვისაგან ასე გამხდარიყოს რომე ფერად ბალახშს არა გვანდეს და იმას მარხვით ტანი რომ ლერწმის ძროსავით გახდომოდეს ის რომ მადლისაგან გაღარიბებულ იყოს და სასუფევილიდამ გაბეზრებულ იყოს იმას იბრალეხს: აბეზარი გამდგარსა თუ შემომწყრალსა ჰქვიან: გასინჯეთ თუ ეს ამაზედ კი არ ამბობს დიონისე რომელსა სოფლის გამდგარს კაცს გმობს და სოფლიოს ღარიბობისათვის რას უმოწმებს თუ არ დამიჯერებთ იმის წიგნი ნახეთ თუ ამგვარს საქმეზედ მოწმობდეს თქვენ რომ გითარგმნიათ ამას უ ნუ დაიჯერებთ:
147. **ავთანდილ იგი:** რუსთველს სჭირდ რამდონიც კარი უთქუამს ზოგი ერთს ადგილს თავს სამლოთო შესავლები არის: ახლა იმავე ამბავს მოეკიდა: ახმა აღებასა ჰქვიან მზღვარი სამზღვარსა ჰქვიან ზიარი მოწილეს ჰქვიან:
148. **ახალმან ფიფქმან:** ახალს ფიფქად თინათინ უთქუამს თუ ის გაღარიბება: ვარდათ ავთანდილ უთქვამს რომე დათრთვილა და დანასა: ბარბითი მულნია ნეი გახვრეტილი ხე არის მრუდათ სულის ჩაბერვით დაიკურის ყიზილბაშთ იციან:
149. **მუნ ეძებს:** ტახტი მაღალს საჯდომს ჰქვიან რომე ნახევარ ადლი სიმალე რომ ჰქონდეს;
150. **მიხვდა რასმე:** მქისი დამშხალული გინა ხორკლიანი:
151. **ზედ წაადგა:** ეს რომ სწერია ავს კარგად ვერ შესცვლისო ეს ხომ ბევრი ქნილა ავი კარგად შეცვლილ იყოს თუ კაცზედ უთქვამს ურჯულო რომ რჯულიერად მოიქცეს ეს ხომ ბევრი ქნილა და ბევრი ქურდი და კაცის მკულეელი ავს საქმეს მოიკვეთს და აღარ იქს: ესეც ხომ ქნილა თუ თვალსა და რაგინდა რას იმისთანაზედ და ან პირუტყვზედ უთქვამს: თვალი გათლილი რა კარგა გასთლი კარგია: პირუტყვ მჭლე რა არის მსუქანი სჯობს მაგრამ ამაზედ კი არ უთქვამს ამას ემოწმება რომელი არა იშვას წყლისაგან სახარება რომ ბრძანებს ესეც ამას უბნობს: უსჯულოს კაცს თუ წყლიდამ არავინ შობს კარგი არ შეიქნება ესეც ამ ამბვის იგავად მოუყუანია:
152. **უამბოს ჩემი:** დავედრა დაბარებას ჰქვიან და იწროება ვიწრო არს:
153. **იტყვს ღოთ:** გლახ ქვესავით სიტყუა არის სვანებმა იციან აფხვრა ამოთხრას ჰქვიან:
154. **კულაცა იტყვს:** გაჭირვებულს კაცს ასწავლის ჭირში ასრე მაგრა უნდა იყოსო განგება გარიგება არის:
155. **თავსა უთხრა:** ამას ისწავლება სიკუდილი სიკუდილი სჯობს აუგიანს სიცოცხლისაო აუგი სარცხვენელი არის:
156. **ყოლნი არსნი:** უღონოდ უსაცილოდ არის:
157. **მითთ ჩამოვიდა:** ჟღერა ეტლთა სღვის წმას ჰქვიან ბროლის ველად დაწვი უთქვამს საყენი ახლა უღვაშ ამომავალს შეღმა შემართული ჰქონდა და იმაზედ უთქვამს მაყე მოედანის საბურთალი ქვები არის:
158. **ცხენსა მისცა:** მეკობრე მტაცებელსა ჰქვიან:

159. ავთანდილ: დია ბევრსა ჰქვიან:
160. ჩვენ სამთა: ვაქილი არაბულად სვუნდროსია ქართულად ვაქილი თან მოსარჩელედ გამოითარგმნების:
161. ანასდად მოყმე: კუმტი პირ მწყრომი არ მრისხანებად ქუში მრუდად მწყრალსა ჰქვიან ნახეთ თვითანვე როგორ ზღაპრად ხდის თავის ნათქუამს ჯერეთ იმისი მგზავსი შვენებით უნახავი არისო: უნახავიც არის და არცარა იყო ზემოთვე წერილს ემოწმება:
162. უჭვ: ტარიელ ქვეყანაზედ მზედ გაკადა ცაში ენით მზეს რად უბნობთ:
163. მე უხუცესმან: ქენება ხვეწნა არის შედეგი იმას უკანდელი:
164. ბროლმან ლალსა: მყიფე ადვილად რომ გატყდებოდეს და ფოლადსავით გარდავარდეს იმას ჰქვიან ნატიფი მოხდომილი:
165. მით ერთითა: კაცის მიწიერობას აჩენს:
166. აღარ დაბრუნდა: ოდენ ოდნად და სრულათაც ითქმის:
167. აჰა მიხვდა: ეს ამაზედ უთქუამს ავთანდილ რადგან ტარიელ იპოვნა აღარ იტირებსო და ღაწვი ცრემლით არ დაეთოვა რადგან ცუდად არ წაუხდა იმისი გარედ ყოფნა ახლა ის ავთანდილის ამბავი კი გათავდა ახლა სამღთოთ თუ საეროდ ისწავლება კარგზედ რომ კაცი გაისარჯოსო და იპოვნოს იმას აღარ მართებს რაცას გარჯილ იყოს ის დაიხსოვნოს:
168. უთხრა თუ: ყოლა სრულად ჰქვიან:
169. მიეწურა იგონებდა: აგოს მოცდასა ბევრს ხანს მყოფობასა ჰქვიან ამას ისწავლება კაცმან ძნელი საქმე კარგად უნდა ქნასო თვარა ადვილს საქმესა უჭკუოც იქსო გონების დაუწყნარებლობა რომ სჭირდეს მოიძაგოსო:
170. რადგან ისი: უცნობო რომე ვერას იცნობდეს იმას ჰქვიან: ჟლეტა მრავლის ჩიტის ხოცას ჰქვიან და ლექსის გაწყობისათვის უთქვამს ორისავ დახოცად მოუყვანია:
171. ავთანდილ იტყვს: ზღუდე გალავანსა ჰქვან და ამეებს რჩევად ისწავლება ვითამ კაცმან გაუშინჯავათ არა უნდა რა ქნასო:
172. დღისით ვლეს: ანაყრდენი აყუდებულსა ჰქვან:
173. რა ტყენი: ჯუბა ძველი საცმელი არის: კაბა პერანგსავით ზეით საცმელი არის:
174. ყმამან უთხრა: ვითამ ხიდი რომე ზღვაში ჩაცვივდეს და კაცსა მორჩენის იმედი აღა ექნება თავეთს საქმეს იმას ადარებს:
175. სული დაილო: აბჯარი რაც ჩასაცმელია თუ შემოსაკრავი იარაღი არის ყველას ჰქვიან:
176. მის მოყმ: დაღრეჯა დიდი მოწყენასა ჰქვიან იაჯდა იხვეწებოდა:
177. მასცე გზასა: გააგარა თავი გარეთ გაიყვანაო მოგვარება შესრულებასა ჰქვიან:
178. აწ ამას: ბჭე გამსინჯავს ჰქვიან:
179. ჩამოვიდა ცხენი: ბაკი მთვარე რომ შემოივლის ის არის მგრგვლათ:
180. მას ყმასა: ბილწი ფინთსა ჰქვიან მწე მომხმარე არის:
181. ქალი ეტყოდა: ეს რა დასამალავი სიტყვა იყო რომე ასმათი ამ საქმეს ინდოეთმა იცოდა და ხატაეთმა მაგრამე ამას ისწავლება პატრონის უდასტუროთ სიტყვას თქვა არ უნდა ქალისათვის ასე პირ შემონახულობა უჩემებინებია კაცს ნახე როგორ მართებს:
182. ქალო არ: ქალი რომ მორცხვი უნდა იყოს იმას ისწავლება და იმაზედ გაურცხვებას ეუბნება:
183. ქალმან უთხრა: გრძელს სიტყვას ამბობს არ ვარგაო მოკლედ და კარგად უნდა კაცმან თქვასო:

184. კულაცა ჰკითხა: ზენაარი მოჭირვებული ფიცი არის დაყრა ზუდიდამ თუ ტარიდამ ვერ დაყაროს ის არის ამ ფილოსოფოსურად ისწავლება კაცი ჯერ ნებით უნდა ეცადოს და თუ არ იქნას მერმე ძალი მართებს:
185. კულავ ეტყვს: ბედი ცუდსა ჰქვიან:
186. ჩემი სიკვდილი: პატიჟი უპატიურობა არის:
187. ყმამან თქვა: ისევ რჩევის საქმეს ისწავლება:
188. უთხრა ვიცი: შვიდ გზის შენდობას ისრაელთაგან მოწმობს ძველის რჯულისას და მერე რომ ქრისტეს პეტრემ ჯ ჰკითხა თავითან სამოეცდა შვიდ გზის უბრძანა:
189. თავი ჩემი: რუსთველის წიგნი სულ სასწავლებელი არის და ამაზედ ამბობს კაცმან შეჭირვებულს და გაჯავრებულს ასეთი მშვიდი და ტკბილი სიტყვები უნდა უთხრას რომე იმითი დააწყნაროს:
190. რა ქალსა: ამოხვინჩვა ამოკუნესას ჰქვიან:
191. მისი სახე: ხატი სახეს ჰქვიან: ალქატი გლახაკი არის:
192. აწ რაცა: გაწბილება უკუწბილება არის“
193. ეგრე უთხრა: მოხმა მოტანასავით არის:
194. აწ დაო: გვარლი თივის თოკს ჰქვიან:
195. გითხრა თუ: სულთქმა ამოხვენეშასავით ჰქვიან:
196. ამის მეტსა: მაჯანი ცუდსა ჰქვიან:
197. ავთანდილ ქუაბსა: იდუმალი დაფარულსა თუ საჩუმარსა ჰქვიან:
198. ამარტის ფერად: ამარტა ეშმაკსა ჰქვიან:
199. ავთანდილ სარკმლით: ავთანდილ ტარიელის უპოვნელობით ტყვე იყო რომ იპოვნა განთავისუფლებული შეიქნა: ნატა ქვეშაგებს ტყავსა ჰქვიან:
200. მან ქალმან: ამას ისწავლება თუ ტარიელ ცოლის გულისათვის ასე შეჭირადა და ნახეთ სამდთო საქმისათვის რა ერთს უნდა გაისაჯოს და გასძლოს კაცმან:
201. ქლმან ჰკადრა: ამას ისწავლება უზომო და ზომის მეტი არც ჭირი და არც ლხინი არ ვარგა ღ~თის სამსახურის მეტი: და იადონი ბერძნულად ბულბულსა ჰქვიან ბულბული ბალახსა ჰქვიან:
202. ყმამან უთხრა: გაცხადება შეტყობასა ჰქვიან ნუკვა თხოვნასა:
203. ქალმან კულავ: შეგონება დარიგება და შეტყობა არის ამაებს ყუელას ისწავლება საქმეს ასრე უნდა საქმის მოყუნაო:
204. მობრუნდსა ყმამან: სულის ღება დაჩუმება არის: ასწავლის თავს ნუ დაიხოცთ თქუენის დახოცით ის თქუენი მზენი მიჯნურნიც დაბნელდებიან:
205. ტარიელის ვარდი: ისწავლება კაცის შეყრა და ამბვის კითხვა თუ ალერსი როგორ უნდა: გაწირული კელის აღებასავით არის:
206. ავთანდილ გასცა: ავთანდილ თავის გამოჩენის ამბავს ეუბნების:
207. მე ო პატრონისა: აზრი ერთი რამ არის რომ არ ენახოს და ისრე გონებით სწორეთ მიხუდეს იმას ჰქვიან:
208. შენ მინდორს: ჯაფი მაღალი ბოხი და საშიში ხმა არის:
209. ყუელაკასა მათრახითა: ფეთი კაცს რომ საშიშარი რამ დახვდეს და ცოტას ხანს გაშტერდეს და უცნობო იქმნას იმას ჰქვიან: შეთიანი სნეულსავით ხან ადგეს და ხან დაწვეს და ერთს რიგზედ ვერ იდგეს იმას ჰქვიან:

210. ჭმუნვა შეექმნა: რუკა შეწყობილსა თუ მოზმულს ჰქვიან რუკა სხვას ენით სხვარიგადაც ითქმის ეთერი აერს ზეით ცეცხლი არს გარ მოხვეული:
211. მიზრძანა მიცან: ახლა ეს გასინჯეთ ბოზობის საქმე რომელს კაცს სთქმია სამს წლამდი დაპირებით მაგრამე ცოლქმრობისა და ბატონობის ნდომის რიგისათვის ეუბნების:
212. აქანამდის მნახავიცა: მკუახე უმწიფარი ხილი და მაგარი არის: გლახ ქუესავით სიტყუა არის:
213. ტარიელსაც: წაწყმენდა დაკარგვა არის:
214. კაცმან ვერ: დაფახვა დახჭვა არის შეწამება კაცმან რომე კაცს დასწამოს რამე:
215. აწ ვაშად: ვაშად ვახ არის: გმირი დიდი და დიად ძალიანი არის გაწირვა გამომეტება არის:
216. ავთანდილ უთხრა: პატიჟი ბევრგან წერია:
217. ამა დღემან: იაგუნდად თავის ჳელმწიფეს და თავის მოსვენებას ამბობს: მინად ტარიელისა და იმასთან ყოფას:
218. ტარიელ: ეს იმ ამბავზედ კი მოუყვანია მაგრამეჩვენად სასწავლოდ დაუწერია რაც გზით რა საქმეები მართებს კაცს კაცზედ შენ შენს საყუარელს რომ გაგყარო ჩემი ნაცვა რა იმისი მაგიერი არისო:
219. წამოსრულებარ: მური ცეცხლის კომლი რომ მოეკიდებოდეს ის არის : ალი ხომ ცეცხლის არის:
220. ამას დაყმუნდა: ლები დალურჯებულს ჰქვიან:
221. კაცმან ვით: დანაბა გაყუჩებით რომ მიწას გაეკრას დასამალავად იმას ჰქვიან:
222. მაგრამ ლ~თნ: ერთი მზე ერთი დღე არის ახლა ის უთქუამს ამ ერთს დღეა ცნობით ლ~თნ ეს ორი მოწყალება მამცა პირველ ესე რომ ჩემის პოვნითა და ამბვის მოტანით ავთანდილს და თინათინს შეჰყრის: მეორე მე რომ ამბვის თქმა მამკლავს და სიცოცხლეს მოვრჩებით:
223. ყმასა უთხრა: რა კაცი ჯ კაცს გაუმუსაიბდეს საყვარლად შეექნას იმისთვის თავი არ უნდა დაზოგოს ეს იგავად მოუყვანია თუ ლ~თი კაცს არ წასწყმენდს მეორეს რა შიში ექნება რომ ცხონდეს:
224. ასმათს უთხრა: პკურება სასხურებელივით თუ ჳელით კაცმა კაცს შეაფრქვიოს ის არის თანის თანი კიდევ და კიდევ:
225. მოსთქუამს ჰი: ამას რუსთველი თავითან მოსთქუამს ჰი ჰი საყვარელო ჩემო ქრისტეე ჩემთვის ცოდვით დაკარგულო და კიდევ იმედო და უკუდავ მყოფელო გონებავ და სულო გულოო და უბნობს ადამის ცთენას არ ვიცი თუ ის მცნების ხე ვინ მოგკვეთაო ედემს დანერგულოო და უბნობს ცოდვას ცეცხლად ათმანო ცოდვის მოქმედებამა რატომ ვერ დაგწვაო გულო რომ ასჯერ ცოდვით დადაგული ხარო და ახლა იმავ ზღაპარს მოჰყვა:
226. ისმენდი მიეც: შეცვა გარ შემოხვევას ჰქვიან:
227. ინდოეთს შვიდთა: მფლობელი შემძლებელია: მპყრობელი მჭერავია:
228. ხალვა მოსძულდა: ხალვა ხალვათათ ყოფა არის: კაემანი ზრუნვა რომ სევდად შესცვალოს ეს არის: ზეიმი გამოჩვენებას ჰქვიან ზარი მტრის შეშინებას:
229. ფარსადანს: დასკვნა ერთს საქმეზედ დადგომა არის:
230. ერთი სამეფო: ამირი არაბულად უფროსობა ჰქვიან და ქართულადაც ეს არის: ამილბარობა უფროსობა მისცა სპასალარობა სულ ლაშქრის თავადობა არის:
231. თვით მეფემა: ზავი დაწყობასავით არის:

232. ასმათ მითხრობდი: ცილი ტყუილი არის: სირი ჩიტი არის გაოდის უნაღვლელობა:
233. ქება არ: ნიჭი მისაცემელია თეთრისა თუ ფარჩისა:
234. მას ქალსა: შეფრობა ვერ გავარჩიე:
235. მეფემან სახლი: სარაჯი ავაზასა ჰქვიან:
236. დღე და ღამე: მუჯამირი ჯელმწიფენი რომ სურნელის დასაკმევს წინ დაიდგმენ ის არის:
237. სრა ედგა: ოქსინო ფარდა არის და შარდი ვერ გავარჩივე გაბაონი ქვეყანა არის კარგი:
238. თხუთმეტისა წლისა: ასპარეზი მოედანია:
239. მამა მამიკვდა: ნიში ნიშანია ყოვლის სიხარულისა ნიშანი გაუცუდდაო:
240. მე წელიწდამდის: აქ მგლოვიარობას ისწავლება და მეფეთაგან დაპატიჟება რა დროს უნდა იმას ამბობს სულის დაღება დაჩუმება არის მცნება სწავლება:
241. ჩვენ უფრო: კარგი რიგსა ჰქვიან და საკარგავი ყოველს გასარიგებელს:
242. მათ საჯდომსა: ზარი კაცი რომ ნახვით თუ ამბვის გაგონებით გასტერდეს და ტანში დააზრზოლოს ბევრჯელ დამიწერია ამაებს ყველას სასწავლოდ და რიგებად ამბობს:
243. ბახჩა ვნახე: სირინოზი ზღვაში ზის წელს ზეით ქალია დიად ტკბილს ჯმას შესტვენს:
244. აწ წაქდეს: არე ქვეყნის არეს ჰქვიან:
245. მიმდომი საწუთროსანი: ნივთი რაც რამ ფერი მოსახმარისი არის:
246. შიგან ვსწევ: ბელზებელი სახარებაშიცა სწერია ეშმაკთ მთვარესა ჰქვიან: მუყრნი მოლას ჰქვიან:
247. სრული მუყრნი: მულამნი თათრული მკითხავი არის მუყრნი აზანას რომ დაიძახებს მეჩიტში ის არის:
248. სამ დღესა: აჰი აჰი სიტყვს მოსაბმელი სიტყვა არის:
249. ვთქვ თუ ღ~თო: აჯა ხვეწნასა ჰქვიან:
250. მონააო ასმათისა: სააშიკო სააშიყოდ ითქმის:
251. დღენი გამოვდეს: მკურნალი ახლა რომ აქიმს ეძახიან იმას ჰქვიან აქიმი სხვისი ენით ბრძენსა ჰქვიან და მკურნალი აქიმი არის:
252. მათ ვერა: პატიჟი ზეით სწერია:
253. ჯელგახსნილი: თუ ეს წიგნი ბოზობის საქმეზედ უტქუამს მაშ რა არის რომ სადაც ბოზობის საქმეს ამბობს დიად ჰგმობს და უზრახავს მაგრამ ბოზობისა არა არის რა საცოლქმროდ უთქვამს:
254. მონამან წიგნი: გაკვრება ვითამ ასმათ რომ წიგნი მოსწერა ტარიელ პასუხი რომ მისწერა დრო კი არის შეყრისა მაგრამ ამ საქმის ჩემგან დაყოლას უნდა ვკვირობდეთო:
255. კაცი მოვიდა: კულავ მასუკან:
256. დარბაზს მივე: ამა სიტყვს სამზღვარი და საბრუნებელი არის: კაპარჭი საფთეს ჰქვიან საგანი ნიშანს ჰქვიან შაბაში ინდოურად მოსაწონსა ჰქვიან:
257. შინა დავსხე: ღარიბი უცხოსა ჰქვიან: სხვათ ენით მუტრიბი მეჩანგე არის:
258. ვეცდებოდი: კრძალვა გაფრთხილებას ჰქვიან ალვად ალს ანბობს:
259. მოლარემან შინა: ზეწარი ქალი რომ თავზედ გარდაიფარებს ის არის:
260. ავდეგ მსხდომი: დაზმობა ხანის გამოუსვლელობას ჰქვიან: და თუ ბოზობისათვის ამბობდეს აუგად და საკრძალვად მიიჩნია:
261. ბედითი ბნედა: ხარაჯა თათრულია და მალსა ჰქვიან:
262. შენგან ჩემისა: შარმანდელსა და გუშინასწინდელსა ძორან ჰქვიან:

263. ასმათ მითხრა: ნამუსი ქართულად პირის წყლის არის: და არაბულად სჯულსა ჰქვიან:
264. მეკეთა ესე: მქისი ხორკლიანი თუ დამშხალული არის:
265. ასმათს მივა: დრამი მისხლისაგან უფრო ცოტა საწონი არის:
266. კაცი გაგზავნა: საწუთრო ამ სოფელსა ჰქვიან:
267. პირველ გაჭრისა: დიადობა გამრავლებათ:
268. დღესა ერთსა: სრა სასახლესა ჰქვიან:
269. მონააო ასმათისი: მანა მიჯნურობის ჯაჭვით რომ მოჭირებული იყოს მანა მან მამოშვალ:
270. ბაღრა შეველე: ბახჩა თათრულად წალკოტსა ჰქვიან ვაშა ვახ არის და საწადელს ადასრულებს:
271. ამოგდო ქალმან: მკრთალი კრთომას ჰქვიან ელვა რომ ჰჯრთებოდეს:
272. დიდხანს ვდეგ: მოსურვება მუდამ ნახვის ნდომათ:
273. ასმათ გაგომყვა: დარამად ერთპირად არის:
274. ასმათ ლხინსა: დახშვა დაკლექა არის: კრძალვა სიფრთხილე გინა რიდება არის: ლალი თამამი არის:
275. მე უთხარ: ზენარობა ზეითის ფიცია:
276. უბრძანე წვევა: მარზაპანი ჯანიშინია:
277. ფიცხლავ მივიდეს: დაზმულობა დაგვიანება არის:
278. ავმართე დროშა: ახლა ლაშქრობისა და ომის საქმეს ისწავლება:
279. შენა მიველ: დაღრეჯა დიდი ჯმუნვაა:
280. მონა შემოდგა: ბედი ცუდი არის:
281. შევე წავდეგ: ნოხი ორხოვა არის:
282. მიბრძანა: ძულან გუშინასწინდელსა გინა შარშანდელსა ჰქვიან:
283. თუცა მართბეს: იდუმალი საიდუმლოა:
284. ერთმანერთისა: თუ გიცრუო ცხრას ცითამც ნუ ვზივარო:
285. აწ ეასაცა: იჩქითი ვითამ ანაზდათ: ჭვირობა რომ ზედ ჭრტიალებდეს იმას ჰქვიან:
286. ზედან წიგნსა: მტკიცე მაგარსა ჰქვიან:
287. მეძნელებოდა: ეთერი აერს ზეით ცეცხლი არის:
288. დავაგდე მზღვარი: ხანი ოზბეგის კელმწიფესა ჰქვიან:
289. გვერცა დავისხენ: განზრახვა უწინვე გამორჩევას ჰქვიან ვაგლახი ვაი არის:
290. მეკეთა ესე: თათბირი სხვათ ენით რჩევა არის:
291. მათ ლაშქართაგან: დავედრება დაბარება:
292. მუნით წასული: ტვერი დიდი და ხშირი ტყე არის ტაიჭი კაი ცხენსა ჰქვიან:
293. მითხრეს მეფე: ხარგა ბალნის კარავი არის:
294. რომე ცუდად: ბევრი ათი ათასი არის:
295. არვის გავენდეგ: ჭორი ერთი ამბავი რომ დავარდეს და ჯერ მართალი და ტყვლი არ იცოდეს:
296. **უბრძანე ჩაცმა:** ქაფი ჯაჭვის ილლიის ზონარი და სარტყელი და შესაკრავები: ჯავშანი ტანსაცმლის ჯაჭვს ჰქვიან:
297. **შევსთვალე თუ:** გაგება გარიგება არის:
298. **შუბი ვსთხოვე:** უტევანი ასი მხარი არის:
299. **შიგან ასრე:** ტანა ჯორი ერთის წლის ჯორი არის და ბევრად სხვად იტყვან:

300. **ერთობილნი:** მანდიკი ხურჯინი არის;
301. **ჩემი ლაშქარნი:** ტაბლაკი მცირე ნალარაა;
302. **გავგზავნე:** ალაფი ქვეშ საფენი და ჭურჭელია;
303. **რამაზს:** სიმუხთლე ზეით სწერია;
304. **მაშინდა:** ჩასხმა დაჯდომა ჰქვიან;
305. **საჭურჭლენი:** საჭურჭლე ჯაბახანას ჰქვიან: ყაბაჩა მოკლე კაბა არის რიდე თავსახვევია;
306. **ვერა შევიგენ:** ლარი ფარჩა არის;
307. **იგი საძღვნი:** არმადანი შორით მოსული ძღვენია;
308. **წიგნი დავწერე:** სვე ბედი და მარმენიო სამივ ერთ რიგი არის და სამივ კიდევ ერთად სხვა რიგად გაირჩევა ჯერ თავთავისი გზა არ მიგვიცემია ალაფი ზეით დავვიწერია;
309. **რა ყველაი:** აზავები ასაკიდებელი ჯელი არის;
310. **ხატავეთისა:** გაწბილება ერთს კაცს რომ საქმე უნდოდეს და ვერ ქნას: გაწბილება კაცმა კაცს საჯაროდ ავი სიტყვა წაყვედროს და უკუაწბილოს და ამასაც ისწალება თავის ქებაც უმართებულო და გაწბილება არის;
311. **მას მეფესა:** ლმობილი მტკივნეულია და მ ლმობიერი წყნარი;
312. **მე ვჰკადრე:** კადრება შებედა არის;
313. **ხარაჯი დასდევს:** დრაკანი ფლურია;
314. **მოვიდა კაცი:** დაშრომა დაღალვაა;
315. **შევეკაზმე:** ტურფა უცხოსავით არის;
316. **იღუმალ:** ზოზონა ამბავის გაუბედაობით თქმაა;
317. **აწ მითქვამს:** მცნება სწავლება არის;
318. **მოვინადირეთ:** ეჯი ექვსი ათასი ბიჯი არის აღარ იბურთეს ორი თამაშობა დაშალესო ერთი რომ ნადირობიდან ადრე მობრუნდნენ და მეორე აღარ იბურთეს;
319. **ჩემთა მჭვრეტელთა:** მემანი წვეულობას ჰქვიან და მენიანი კაბა საწვეველო კაბა ეცვაო კატაბანი ტყუილიაო;
320. **მას მზესა:** ხადუმი საჭურისი არის;
321. **ახლოს:** არამი სხვა ენა არის;
322. **აწ თუმცა:** საჭურჭლე ზეით სწერია;
323. **ავიყარენით:** დისტაქანი დიდი სასმელია ცნობის თარგმანი გრძლად მოვიდოდა ბოლო შეტყობავ არის;
324. **მონა მოვიდა:** აჯილა ჩადრი არის;
325. **მიამბე:** სათნები სათნობაა;
326. **ღ თნ თუცა** ბოლოები ვინც გინდათ თარგმნეთ ერთი სომხური კი არის არიდენო იქით მოდიო:
327. **ასრე წვა:** წანწკარი წვრილად წყალი რომ მიდიოდეს და ჯმა რამე გამოსდიოდეს;
328. **ავთანდილსცა:** სულთქმა ამოქმინვას ჰქვიან;
329. **ზე წამოჯდა:** სპეტი თეთრია;
330. **მიუწერე:** ჩაუქი სიცქვიტეა სიალფე ვიკითხოთ რა არიის ნატიფი მოკლდომილი გინა ლამაზი;
331. **დილასა ადრე:** სახითა ოდენ სამითა რომე სწერია მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია ორნი მეფე დედოფალი და მესამე ერთი ვეზირი მისანდოც თუ ასრე არ დაიწერა სახით ოდენ სამითა ლექსი არ გაიწყობოდა და ერთს კიდევ ამას ვეჭვობ რომე ვითაც

ჯელმწიფენი ღთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი ორნი ერთად რომ ისხდენ სახით სამითა ვითამ კინარამ სამების სახედ ისხდენო ძლიერებასა და საზარელობას უქებს თავის პატრონს ოდნობა რა არის ვერ ვაგძნეთ:

- 332. აწ ქალისა: სახე თათრები რომ თარს ეძახიან ის არის გამახვავწვერ გალესილი:
- 333. რომე პირველ: სწფებოდა ეს არის რომე მართალი სიტყვა რომ იყოს:
- 334. იყო არ: პიროქრო პირზედ რომე ოქრომკერდი ჰქონდეს ფარჩას იმას ქვიან ან რიდესა:
- 335. ქვე წვა: ნაპრალი კლდე რომ გახეთქილი იყოს ის არის:
- 336. მიბრძანა: გაწირვა გამომეტება არის ეს ლექსები ფიცის გაუტეხლობისათვის მოუყვანია და ფიცის ტეხას ამაგებს ვითამ სხვა ნურავინ იქსო:
- 337. ვთქვ: დიაცურად რად მოვლორდიო ვითა სოლომონის სწავლაა დედაკაცი მცდარი არისო:
- 338. შენ არ: ჯელოვნება რაცრა ფერი კაცმან რომ იცოდეს და იქმოდეს იმას ჰქვიან:
- 339. გახსონს: მკურნალი აქიმსა ჰქვიან და აქიმი არაბულად ფილოსოფოსსა ჰქვიანდასტაქარი ჯარა არის ყე ქვესავით სიტყვის შემასრულებელი არის: და ამასაც ისწავლების მამაცის სიცრუვეს სხვა რაღა შეედარებისო და ცრუ არ უნდა იყოსო:
- 340. ამას ვბრძანებ: აზრი მცირე შეტყობას ჰქვიან :
- 341. შევხედენ: მუსაფი თათრის წიგნსა ჰქვიან და აჩენს რომე ისინი თათარნი იყვნენო:
- 342. რომე გკადრებ: აქ შეჭფიცეს და მერმე ბოლოს გაასრულა ნახე აქ რუსთველს როგორ მოუყვანია ვითამ ფიცი არ ატეხინა და გაასრულებინა ნალიქნია სატყუვრად მიფერებას ჰქვიან:
- 343. კვლაცა: შეხება ზედ მიწდომა და წვერის ხლება არის:
- 344. ვთქვ ამითა: გონება სამი არის პირველი ღთისა მერმე ანგელოზთა და: მესამე გონება ანაზდად დიდისა და მრავლისა საქმის შემომვლელი არის:
- 345. სულთ ვიყიდი: ბაზარი სავაჭრო ადგილი არის:
- 346. მიბრძანა თუ: ესეები ამ ზღაპრის მიზეზით კაცის სასწავლოდ უთქვამს;
- 347. კვლავ თუ: ასდენ ასე არის:
- 348. ასრე ქენ: იმისთანას სასახელოს კაცს თავის მტერს მიპარვით აკვლევინებს და დიდს სისხლს უშლის:
- 349. ხანი დავჰყავ: ფიცხელი ძნელი თუ გინდა მაგარი არის:
- 350. მიბრძანა ჩემთვის: ძუნწ კაცს ჰქონდეს ხარჯი მართებდეს და არ იხარჯებოდეს უმეცარი შეუტყუობას ჰქვიან:
- 351. მოედანს დავდგი: აღვსება აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისათვის უთქუამს და იმ ქორწილობის რიგებსაც ისწავლება:
- 352. ცხენისაგან არ: ვაქილი ზეით დაგვიწერია:
- 353. შევედით ვნახეთ: წარბ შერჭმით წარბ შეყრას ჰქვიან:
- 354. მე მეწყინა: დაყმინება დაყოყმანებასავით არის:
- 355. კარვის კალთა: ჩავაქარაბაკე დავხიე თუ დავხეთქე არის:
- 356. ვერ გათნევ: თნევა ზევით დაგვიწერია:
- 357. შენი ქალი: ამოფხურა ამოგლეჯას ჰქვიან ძირიანად:
- 358. ესე კაცი: თვალი ვაგე თვალი ვამყოფეო:
- 359. ჰკადრეს აქა: შეხდომა მოხდომას ჰქვიან:
- 360. როსკიპო: როსკიპო ურიდად და გამოჩენილად ბოზი არის:

361. **კელი მიჰყო:** მედგარი გუნებიდამ რომ კაცის ძვირი კაცმა არ ამოიღოს სანამდი ჯავრი არ ამოიყაროს და მოულონობასაც ჰქვიან დაშუშვა დაამებასა ჰქვიან:
362. **რა დავარ** დარაჯა ქეშიკსა თუ ამბის შეტყობასა ჰქვიან:
363. **მე უთხარ:** ახლა გამოაჩინა მოყვრობა და პირობის გათავება ასრე უნდა:
364. **მეტმან ზარმან:** ცხრო ცივება არის:
365. **ზედა ჯდა:** ფიცხი ჩქარსა ჰქვიან:
366. **აწ იგი:** ხადილი მასპინძლობა არის:
367. **მივედით მისსა:** კოტა რაგინდარა პატარა ხე დაასო იმას ჰქვიან და ჯმლის ჯეტარი რომ დასხმულია ეს ის არის:
368. **კულავ მივა:** ზარქაში სპარსულადაც ვერცხლს გაწულსა ჰქვიან:
369. **მათი მესმა:** ჩაბალახი ჯაჭვის ქუდია უკვერცხო:
370. **კვლავ სხვასა:** ქულბაქი დუქანი არის:
371. **ზღვა გავიარეთ:** ქველი ზეით წერია:
372. **თვით ორნივე:** ამაყი ზეით წერია:
373. **მათი ლაშქარი:** ლარი ფარჩაა:
374. **ფრიდონ:** კაცი რომ კაცს გაეწყობის იმას ისწავლების ასრე უნდა გაწყობაო რომე ასრე უნდა გაისარჯოსო:
375. **მივედით მოქალა:** აჯაბი საკუირველი არის:
376. **ლაშქარნი ფრიდონს:** სეფე უფროსად ითქმის:
377. **ამომძენეს ორნი:** კრთომა სწერია:
378. **ცხენი გავჰქუსლე:** წრტიალი მტკივნეულია:
379. **ესე მესმა:** გაკიცხვა უპატიურად აგდება არის:
380. **ფრიდონს:** ბასრობა ნამეტნავად გაუპატიურება არის და კიდემ სხვას ამას ამბობს გარდავარდნილის კაცის პატივი და დახდომა როგორ უნდაო:
381. **მაშა მე:** ფარმანი დასტური არის:
382. **მერმე:** სახედარი მუდამ სახედნი ცხენია:
383. **ფრიდონ:** მვეცი ჯორცის მჭამელს ნადირს ჰქვიან:
384. **უმენოსა:** ღაფალი ღონე მოღებული არის:
385. **ესე ქვაბნი:** ქაფი ზეით სწერია ცქაფი სწრაფი არის:
386. **ავთანდილ:** ტარიელ რომე ცოტას თქმით ავთანდილ გასაჯა მერმე ნახე იმან გარჯისათვინ რა დიდი გარჯაები უყო და როგორ მის მიჯნურს შეჰყარა რჩევაებიც გაუშინჯე ავთანდილს:
387. **რა აქიმი:** კაცმან კაცს უნდა ჰკითხოს რჩევა აქ ამას ისწავლება:
388. **რაცა გითხრა:** ბრძენი დიდს ჰქვიან ჰქვიან:
389. **მან მიუგო:** მიგება პასუხის მიცემა არის:
390. **პირი შენი:** მოლორება მოტყუვება არის:
391. **ადრე მოვალ:** დაზმა დახანება არის:
392. **იგი მუნით:** გაამხოკლა ჯელის ფჩხილებთ რომე ჩამოიხოკოს დაიგლიჯოს ის არის გაამლოკლა გალოკაა:
393. **მოვიდეს:** შვება რომ ლხინობდეს ის არის:
394. **შერმადინ:** დაფახვა თვალს ხუჭევდეს ის არის: ხულა მომცრო ფიცრის სახლს ჰქვიან: დარბაზი ხომ სამეფო სახლია:

395. **არცაღა დაჯდა:** კამათობა ცილება ან დავი არის;
396. **შესთვალა:** ფლიდი თათარნი რომ ფლიდს ემახიან ის არის;
397. **რა მიიახლა:** ნიშატი მართალა არ ვიცოდით;
398. **მას დღე:** დრამა მცირე საწონი არის;
399. **მას ვახსენებდე:** მიწყვი მარადის არის;
400. **რა დაასრულა:** დუხჭირი ავ სანახავსა ჰქვიან: მოხმა იქიდამ რომ აქ მოიტანო ის არის;
401. **ყმა წავიდა:** ღმობიერი მშვიდსავით მგონია ხასიათი სხვა ენა არის;
402. **მზე უკადრი:** ეფრატი წყალსა ჰქვიან და მჭევრი მრავალ გვარად რომ კაცი მეტყველებდეს ის არის;
403. **ყმა მხიარული:** მქისი და ლალი ზეით დაგვიწერია;
404. **ნუ მკითხავ:** ციაგი მზის სხივი არის;
405. **წვრილად:** წავარნა კლდის ბილიკი მენა სანიადაგოსა ჰქვიან;
406. **ყმა ეტყვის:** ცქაფი ზეით სწერია;
407. **ჯამს მოყვარე:** კულავაც დამიწერია ტარიელ და ავთანდილ ამბავად უთქვამს თვარა მოყრობასა და ყოვლს სასწავლოს ისწავლება ეს სამღ~თოთაც ითარგმნება და საეროთაც ასრე არის;
408. **საწუთრო კაცსა:** ტაროსი დრო არის;
409. **შენ არ:** აქ ფიცისა და პირობის საქმეს ისწავლება თუ როგორ უნდა გასრულება;
410. **ყმამან ჰკადრა:** ქვეით კოცნა მზისა წვერვა ცუდი არისო კაცი რომ მზის შუქს ჰკოცნიდეს რა მზის კოცნა არისო ვითამ სანამდი ცოლ ქმრობა და გვირგვინის კურთხევა მოგუხუდებოდესო მანამდის ჩემი სიხარული რა არისო თუ გიახლო ერთხელ ვაი იმიტომ უთქვამს რომ ჭურეტას გარდა ვერ შეიყრებოდნენ და რა მოგშორდე ბევრჯელ ვაი ამაზედ უთქვამს ნახვად დამიძვირდებისო;
411. **ვაი თუ:** სამალი ოზბეგურს მოკლე ისარს რკინის ღარით გააგდებენ ის არის საგანი ისრის ნიშანი არის;
412. **ყმა რკბილი:** მარგალიტის მიცემა ცოლ ქმრობის დაჯერების ნიშნობისათვის მისცა;
413. **ყმა წავიდა:** ცოლ ქმართ სიყუარულს ისწავლება;
414. **ვინ უწინ:** სოფლის გმობას ისწავლება და ზღაპარსა მძმახავად ამბობს;
415. **ამას მოს:** სიკუდილი ყუელას ცუდად შეიქს სოფელს კი ზრახავს;
416. **გული კრულია:** კაცის გული სიხარბეს და გაუმადლობას ისწავლება მიზეზად ავთანდილს ათქმევინებს ხან თინათინის ნახვა უნდა და მოუშორებლობა და ხან ტარიელთან წასულა ახლა მკითხველს ეუბნება რადგან კაცის გული ხარბი და ერთს საქმეზედ დაუდგომელი არისო და ბრმაცა და ურჩიც არის ხედვისა რომ საქმეს ვერ გაზომს ვერც სიკუდილს მეფენი პატრონობდეს მაშ კამან თავის თავსა უნდა მოუაროს და გუნებას არ აჰყუეს;
417. **რა გულსა:** გულისობა გაჯავრება არის: ბისონი წყალია;
418. **რა გათენდა:** ნაზი კაცი რომ კაცს აძლევდეს არ მინდაო ის ეუბნებოდეს და ესათუთებოდეს იმას ჰქვიან;
419. **ამას მოსთქმიდა:** ამას ჭირის გაძლებისათვის ისწავლება;
420. **ყმა გარდასვა:** აწ მიზეზით კაცს უფროს უმცროსის მასპინძლობას ისწავლება: ღაფალი ზეით დაგვიწერია;
421. **დაჯდა მისთა:** სულთქმა ამოხნეშასავით არის;

422. **რა ჯალაბი:** საურავი და თნება ზეით სწერია:
423. **ყუელასავე:** ეს ამდენი კაი სწავლა და კაი სიტყუა მაშ თუ ამ ამბვით არ ეთქუა მიწაში უქმად რატომ ჩაიტანა ამას კარგად უნდა უსინჯევდეთ სამღ~თოს და საეროშივ კარგად არის სასწავლო:
424. **რაცა გითხრა:** ოსტასარ ვეზირის სახელი არის:
425. **წასვლა ჩემი:** სუფევა დიდს მეფობას ჰქვიან:
426. **ვაზირმან უთხრა:** აქ ხუმრობასა და აზნაურშვილობას ისწავლება ყოვლს საქმეში რიგიანი სიტყუა მართებული არის:
427. **თუ მეფე:** მოღორება მოტყუებას ჰქვიან:
428. **მეფე ანუ:** ბევრჯელ ვამბობ ყუელა სასწავლო საქმეები უთქუამს და საკარკაცოდ გასინჯეთ ავი არ არის რა:
429. **აწ ვაზირო:** რკინა ჩემი მონაცვალე იყოს და ჩემი სასჯელი რომ რკინას სჭირდეს სანთლად შეიქნება ვერ გასძლებსო:
430. **ვაზირმან თქუა:** ეს პავლეს სიტყუაზე მოუყუანია წესიერი ზრახვა ზომიერი დუმილი როგორც ის იტყვს ამასაც ისე უთქუამს:
431. **ჩემი ჭმუნვა:** ფლიდი ზეით სწერია:
432. **ვითამც რამე:** ღადარი დაუნდობელია:
433. **კამსცა:** ბატონ ყმობის მოხსენებას ისწავლება და ბატონს რომე ეწყინებოდეს მაინც კაის სიყტვთ ყმამ უნდა მოახსენოს და არ დარიდოს;
434. **კვლავ უბრძანა:** შაბაშ ზეით სწერია:
435. **დადრკა სკამნი:** ძეწნი ტირიფის ნერგი არის:
436. **ვეზირი გლახ:** აქ ენის შენახვას ისწავლება:
437. **ქრთამს სთხოვს:** მექრთამეობის ამბავსაც მოგახსენებს ვინც უბრალოს ქრთამს ეწყობით:
438. **ვით გამკადა:** შლუ შუბლსა და საფეთქელზედ რომ თმა აკლდეს იმას ჰქვიან ვითამ როგორც თმა ისე ჭკუა აკლიაო იგავით მოუყუანია:
439. **ყმამან უთხრა:** იადონი ზეით სწერია:
440. **შეკრა წითელი:** ჩახრუხაძეს რომ ჩახრუხაული უთქუამს ეს იმისთვის დაუწერია რომე ესეც ვიცოდო:
441. **იტყვს როსტენ:** უსამართლობას ამბობს არ ვარგაო:
442. **სამი არის:** ეს საღმ~თოც არის და საეროც სამღვდელოთაც კარგა ითარგმნება საეროთაც უთქუამს:
443. **მტერთა ჩემთა:** ბატონ ყმობას ისწავლება:
444. **ვის ასმია:** ფლიდი ზეით სწერია:
445. **თუ მიჯნური:** ესეც საღმ~თოსა და საეროზედ უთქვამს რომელიც სამღვდელო განშორებული არის მარტო ყოფა უნდაო:
446. **რა მოგშორდე:** სირცხვილისა და აუგის გზას ისწავლება:
447. **მე იგი:** ესეც ორკეცი კი არის მოყრობის რიგი ხომ დაგვიწერია და საღმ~თოდაც კარგად ითქმის:
448. **დაჯდა წერად:** აწ ამას იქით გასინჯეთ თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ სამღთოდ თუ საეროდ როგორ თვითოს რიგით უსწავლება და ესე საქმეები ზოგი საცოლქმროდ ზოგი საკაცოდ და ზოგი სალაშქროდ და სანადიროდ ყოვლი რიგები უსწავლება თვარა ცუდად

საბოზრად არა გარჯილა და არცარა უთქვამს ამ ანდერძს რომ მოჰყვა თავის ბატონთან ბოდიშის მოთხოვნას მოახსენებს:

449. ვიცი ბოლოდ: მართალს ამბობს პლატონისაგან კიდე უკეთესი კაცი სხვანიც ემოწმებიან სიცრუე და ორ პირობა კაცს სულსა და ხორცს ორსავე წაუტდენს:

450. რადგან თავი: უბადობა ცუდსა ჰქვიან ამას ამბობს სიცრუვისათვის მე მოყვარე რატომ დავსთმო და ამასაც ისწავლება კაცს რომე ცოდნა ჰქონდეს და ვერ ხმარობდეს დიად უსარგებლო არის ამასაც ისწავლება რაც ვისწავლოთ რომე ზეციერს მწყობრს შევაწყოთ მეცნიერნო აქ გაშინჯეთ რასაც ამბობს მართებულად და კაის საქმით ამბობს თვარ სიცრუვისა და ბოზობისათვის არა უთქვამს რა:

451. წაგიკითხავს: ამას პეტრესა და იოვანეს და იაკობის ძმა უფლისას მოწმობს ისინი ბრძანებენ სიყუარული ღთი არისო ვისაც კაცი არ უყვარს ღთი არ ეყვარებაო და ის მოუყვანია:

452. ვინ დამბადა: ამას ამბობს ვინც დამბადა მტრის მორევნაც იმან მომცა მტერი ეშმაკი არის და ამ ეშმაკის მორევნა კაცს მისცა და უნდა მოერიოს ძალად უხილავად შემწედ მიწიერთად საზღვარის დამსაზღვრელად უკკუდავად და ღთსა ღთად ღთის ქებას ამბობს იმას შეუძლია წამის ყოფით ერთსა ასად გახდის და ასს ერთად ამით თავს იმედს უდებს მეც შემადლებინებსო:

453. რაცა ღთსა: ჭემმარიტად მართალია რაც ღთსა არ სწადს არაფერი არ იქნება რა იმას მოახსენებს თავის ბატონს ამა საქმეს ვეცდები თუ ღთსა სწადს შემადლებინებს თუ არ სწადს ხომ არ იქნება არ უღთოთაო მზის შუქად ტარიელს ხდის და იად თავის თავს ამბობს უმისოდ გაძლების შეუძლებლობას ამბობს და თავის ბატონთან ბოდიშს იხდის:

454. რაზომცა: თავისი ბატონისაგან შენდობას ითხოვას და ამას მოახსენებს ღონე არა მქონდა უმისობა მომეთმინაო ამისი წამალი წასვლა იყოო სადა გინდ ვიყო რა მგამაო რომ უთქვამს ეს არის რომე კაცი სადაც იყოს ნამუსიანად უნდა იყოს ნამუსიანად ყოფნა სანაღლო არ არის:

455. არას გარგებს: სწავლა არის კაცი უნდა ცდილობდეს და კაის საქმეს იჭიროდეს თვარა მჭიმუნვარება და სიმძიმელი რას არგებსო ღთის ბრძანება რომ არ იქნას ხომ არ იქნებისო და მამაცისაგან გარჯა და ჭირის დამობა არის წესიო კაცს ასე მართებს ჭირიც გასძლოს და კიდეც მიჭირვოსო თვარა ჯორციელს კაცს განგებულების წინააღმდეგომობა ხომ არ შეუძლიაო:

456. რაცა ღთსა: ამბობს რაცა ღთს ჩემთვის გაუგია ხომ გარდამხდება და გარდახდას უკან გული დავლებული აღარ დამრჩებაო თქვენ მხიარულად დიდებით დავლა თათრული სიტყვაა დავლათს ჰქვიან ამას ამბობს თუ იმას ვარგებ ჩემს გარჯას და ამდენი სიარული ჩემი სახელი და სიკეთე იქნებაო:

457. მეფეო: აქ ისწავლება სიცრუე და პირობის გატეხა კაცს წარსწყენდსო და თავის ბატონზე ბოდიშს ითხოვს წარსაწყმენდელი საქმე როგორ მექნაო:

458. არ დავიწყება: კაცი რომ მოყვარეს არ ივიწყებდესო ზიანს არ უზამსო ამას ისწავლება ასეთს კაცს ვგმობო ყოლის სიკეთით სრული იყოსო და ცრუ და ღალატიანი იყოს იმის უფრო არ იქნებაო ახლა რადგან ეს ასრე არის მე იმას ვერ ვეცრუები და ზიანს ვერ უზამო ისწავლება მამაკაცობაზედ რომ სულ გრძელი იყოს წასვლის მოზარე იყოს იმგვარს მამაცობას ზრახავს:

459. რა უარეა: მამაცობას ისწავლება და ამას ამბობს ჯაბანი კაცი დედაკაცს რით სჯობსო ჯაბანი ჯდალსა ჰქვიან და სახელი სჯობს ყოვლს მოსახვეჭელსაო მოხვეჭა ბრჭალით და ბორჯღლიანით მოიტანსო რამე იმას ჰქვიან:

460. **ვერ:** ამას ამბობს რადგან სიკვდილი არას გზით არ დაიჭირვის და კაცი მოკვდება ნაზრახს სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობსო:
461. **მერმე:** მეფეს ბოდიშის სიტყვით მოახსენებს ვინც სიკვდილს ყოვლის წამით არ მოელის ის კაცი სთებისო და თუ ვინ იცის მოვკუდე შეწყალებას ეხვეწება:
462. **თუ საწუთრომან:** ესეც ისივ სწავლაა თუ მოვკვდე შემბრალო ეს იმათ ანდერმად რომ მოუყვანია თვარა იმათ ანდერმი ხომ არ უთქვამს როგორც წმინდა წერილი ბრძანებს კაცი ნიადაგ სიკვდილს უნდა მოელოდესო;
463. **მაქვს:** ამას გლახის მოწყალებად ისწავლება იოვანე ოქროპირის ბრძანებასავით:
464. **რაცა თქვენთვის:** ბატონყმობის რიგით მოახსენებს რაც თქვენი საკადრისი არ იყოს სამადლოს საქმეზედ დახარჯეთო:
465. **ამას იქით:** კიდევ თავის სულს ახვეწებს მკვდარს ხომ აღარა გარდამეხდევის რაო სული შემბრალოთო:
466. **გვედრებ:** ნაკი ნამეტნავსა ჰქვიან ჰქმუნვა მწუხარება არის:
467. **გასრულდა:** სუფევა დიდს მეფობას ჰქვიან კრძალვა მორიდება არის:
468. **ილოცავს:** ამას ისწავლება კაცს რაც საქმე საქნელი ჰქონდეს პირველად ღთი უნდა ახსენოს მერმე საქმეს კელი მიჰყოს:
469. **ღთო ღთო:** ამას ახლა თვითან რუსთველი ამბობს ღთო ყოვლის მფლობელო გეხვეწები შენ რომ ზეციერი მიჯნურობამ საუკეთესოს მზეს სასუფეველს მამამორვაო და ახლა ამას ეხვეწება ამ ზღაპრობის თქმით იმ სასუფეველის სიყუარულს ნუ აღმოფხვრი:
470. **ღთო ღთო:** ამასაც ლოცვად ევედრება რომე ყოვლს საქმეზედ კაცი ღთს უნდა ეხვეწებოდეს:
471. **რა ილოცა:** ესეც მართლა დაუწერია თავის ბატონის ვერ მჭვრეტი ყმა ვერას გაიხარებს:
472. **აწ ამბავი:** ახლა კიდევ ამის წასვლის ამბავს მოჰყუა:
473. **რა ვეზირი:** კაის ყმას რომ უბრალოდ გაუწყრეს მერმე ბოდიშს მოითხოვს ისწავლება:
474. **თუ:** რჩევისა და ბატონობის მოსახსენებელს სიტყუებს ისწავლება:
475. **კვლავ მოახსენა:** ლევი თორმეტის ტომის ისრაელის ნათესავისაგან იყო: გელევი დაგთმო არის:
476. **რა გამოვიდა:** ეს მოუყუანია კაცმა რომე ერთხელ საქმე დააშაოს უნდა კულავ აღარა ქნას:
477. **რა ვეზირი:** გამთავნება გამრავლება არის:
478. **თავ დადრეკით:** ფლიდი თალბიზია:
479. **რა მეფემან:** ამას ისწავლება თავის გაზრდილი ყმა ასე უნდა უყუარდესო და ტირილის რიგსაც ისწავლება:
480. **ოდეს გნახავ:** მჭევრი ბევრის რიგით კაცი რომ კარგ მოლაპარაკე იყოს ის არის:
481. **ზარი გაისმა:** ზარი საზარელს ჰქვიან:
482. **ყოვლი ტიროდეს:** დადუმება დაჩუმება არის:
483. **რა ანდერმი:** დავრდომილი სიკეთისაგან დაცემული:
484. **მთვარე მზესა:** მთვარე მზის დაშორებით რომ შეიქმნება მაშინ განათლდება თხუთმეტის დღისა რომე იქნება აქეთ პირს მთვარე იქნება და იქით პირს მზე და დაპირისპირებით რომ იქნება შუქს მისცემს და განათლდება შემლა რომ მოუვა ახლოს შეეყრება და აღარ გამოჩნდება და დაწვად ის უთქუამს ახლა ამის სახეზედ ესეც მოუყუანია როგორც ვარდს უმზეობა გააჯმობს ისრე სიყუარული ქრისტესი უთქუამს და იმისი ვერ

ჭვრეტა ძველს ადამის ცთომას გაგვიახლებს ბევრჯელ ნითქუამს მეფეთ ადგილს: თვითო სამღთო უთქუამს ისეც სამღთო თვარა აქ არაკი დაუწერია: ახლა სხვა ამბავი დავიწყოთ:

485. აწყა დავიწყებ: ვითამ მზეს თავის საყუარელს ადარებდა და ამის ყურებით მის სიყუარულს მოითმენდა და სძლებდა:

486. რა მიიახლა: ცოლქმრობის სიყუარულს ისწავლება უმისოდ ყოფის გამწვანებას ამბობს დალაჯი წყალს ჰქვიან:

487. თქვა ჩემო: თუ საღმთოდ ეს არ ეთქვას საყვარელს დაძაბუნებული მოყვარე როგორ ეჯობინებაო მაგრა ესეც სამღთო უთქვამს თქუა ჩემო შენი შორს მყოფი რომ დაუკრულავს ვინც საყვარელს მოშორდეს უნდა დაჩუმიდეს განა სულ ლაპარაკობდეს მაგრამ ასრე უთქუამს კრულ იყოს ვინც შენ ცოდვით დაგშორდეს: ვინც დაჩუმიდეს და სულ იმის ქებას არ ამბობდეს რადგან კერძ მსახურებიდამ მოვიქეცით და გონება ქრისტეს დარჩა ხამს რომ კაცმან რამდენიც ცოდვა ქნას გული ისრევ ქრისტეზედ უნდა ჰქონდეს და დაუბრუნდეს ბევრი კაცი ცოდვას იქს იტყვის მე რაღა მეშველებისო ახლა ეს იმაზედ უთქუამს თვალი რომ ცოდვით მტირალი ჰქონდეს კიდევ ისრევ ქრისტეს შეხედვა უნდა სწადდეს და სასო არ უნდა წარიკვეთოს რაც რამ ამ სოფელს კაცს შეუყვარდება საყვარელი ის არის და მოყვარე ქრისტე არის ახლა ამბობს რაგინდარა ქრისტეს საწყენი რომ ქნას კაცმა და შეუყვარდეს ცოდვით ქრისტე დაძაბუნებულად ჰყვანდეს ის უთქვამს მაინც ისივ ქრისტე გიჯობსო და სჯობსო:

488. მე რა: ბევრჯელ მითქვამს რუსთველს სადაც პირი მოუკრავს სამღთო ყოფილა კარგი თუ საკაცო დაუწერია ზეით სასო წარუკვეთელობა მოუყვანია ახლა ისეც ზღაპარს მოჰყვა ახლა ავთანდილს აჩივლებს ცოლის სიყვარულობას ასრე რიგად უთქვამს რუსთველს გამშინჯველო კაცი გასინჯავს თვარა გაუსინჯავს კაცს სულ ცოლ ქმრობის საქმე ჰქონია:

489. ტირს: ესეც ცოლ ქმრობის სიყუარულისათვის უთქვამს და ვინც გაუშინჯავთ კაის ლექს ამბობს სათი გიშერს ჰქვიან:

490. იტყვის: ერთარსებისაგან ერთი ხომ ქრისტე არის და ქრისტეს ეხვეწება და აქებს ვისაც ციერნი ერთის წამის ყოფით გმორჩილებსო მე ბედს ნუ მიქცევო და ჩემს ცოლს შემყარეო აბა ქრისტიანი ფილასოფოსი საბოზვრად ქრისტეს როგორ შეახვეწებს კელი მოუმართეო:

491. ვის ხატად: ღმრთის ხატად წინასწარმეტყველნი და ფილასოფოსნი ქრისტეს იტყვან იმას ახვეწებს ავთანდილს რომე მიშველე რამეო და თინათინისა და იმის მოშორვებას შესჩივის მე ხომ ამას ზეით ესეც საღმთოდ მგონია მაგრამე ყველას ამიტომ აღარ გამოვეკიდე რომე ეგება ზოგი ერთს კაცს ავად ჩამოერთმია:

492. ამას: ცოლის სიყუარულს ისწავლება და ავთანდილს ვარსკვლავებსავით ამსგავსებინებს:

493. მთვარესა: ფილასოფოსობა გამოუცენია რომე მთვარეს მოწყალეთა და სნეულთა ეტლად იტყვან რომე სნეულიც ეს არის და შესაწყალელებელიც ამას ეუბნება შენ გამკურნეო:

494. დამე: ჭავლი მსხვილად რომ დაგრეხილი იყოს იმას ჰქვიან წყლის ჭავლი რომ გარდასციმციმებდეს და გარდასდინდებოდეს და ჩაიგრეხებოდეს ის არის ნაკადი ისრევე ნაკვი არის:

495. მარტო: აქ კიდევ ავთანდილს აქებს და იმის გულს მარისხს უდრის მარისხს მესისხლედ უ იტყვიან და გულ ჯავრიანად მოუყვანია:

496. აწ ვერ: ბრჭალი ჯელისა და ფეხისა ნებიდამ ფრჩხილებითურთ ბრჭალი არის:

497. გული: აქ მოუყვანია სასწავლებლად ფიცის და პირის გაუტეხლობა:

498. **ჯერო მისი:** დილაჯი მდინარე წყალსა ჰქვიან ამებში ერთმანერთს ალაპარაკებს და ასე უცხოს კაცებს რომ ერთმანერთის გულისათვის ასრე დიდათ რჯის გასინჯეთ მეცნიერთ და ახლოს მყოფთ კაცთ ერთმანერთისათვის რა გარჯა მართებსო და თავის ფილასოფოსობასაც აჩენს:
499. **ესე არაკი:** ესეები სულ სწავლება არის:
500. **პატრონი ჩემი:** ეს ნურვის უცხოდ გიჩნსთ მეფე რომ ღ~თადა ცხოვლად უთქუამს განა მართლა ღ~თად უთქუამს მაგრამე ქუეყანად ფილასოფოსთ მეფენი ცხოვლად და ღ~თადაც დაუწერია რაგინდარა კორციელზედ შეუძლია:
501. **კულავ იტყვს:** რაც ამას დაუწერია თუ კაის გზით ისწავლით ერთს ოსტატად გეყოფათ:
502. **რა შეხედნა:** გრიგალი ერთი ქარი არის რასაც მოხვდება დაამსხვრევს:
503. **ერთკენ უც:** ფიცხელი გინ მბრძოლის ძალოვანება გინდა მნელოვნად მაგარი:
504. **თვალთა ახმდაცა:** ნიბანი ზეით დაგვიწერია:
505. **კელითა ცრელმსა:** დაფახვაც ზეით დაგვიწერია:
506. **ესე ყუელაი:** მართლა ფიცავს ზეითაც დამიწერია იმათთანა არა შობილა რაო დიად ხშირად ხდის ამ თავის წიგნს ზღაპრად:
507. **თუ ბრძენი:** ზოგი ერთი რომ ავით თარგმნით რაც დაუწერია ეს დაისწავლოთ ის არა სჯობს მრუდათ თარგმნას:
508. **ისმინე ჩემი:** თნევა სათნოობა არის:
509. **მართ გარ:** სირა რიგსაც ჰქვიან და ოქრომქედლის პირით საბერველს ლულასაც ორივ კარგად ითქმის:
510. **რა შეატყო:** მუფარახი იაგუნდის მაჯუნია დასტაქარი ჯარაა:
511. **სამჯრე:** ასაკი კაის დროთ რომ კაცი მოსულ იყოს ის არის:
512. **დამორჩილდა:** ყუელასი ასე მგონია რადგან მოსულ იყოს და უსწავლს და მიჯნურობით ასე გარეტებულს სწავლამა და ტკბილმა საუბარმა ასე მოაქცია ნათლის ღების შვილს თუ ასწავლი და შეაგონებ სიტკბოებით და მის ადგილს რისხვით როგორ არ მოიქცევა ამაზე უთქუამს და ნახეთ თუ სასოფლოთ არის იმათი რატომ უთქუამს ვერა საქებარი ქება ვერ მიგია რაო რომე საქებარი არა იყუნენ რაო და ბოლო ის ერთი სტიქონი წინათქმულისატვის უთქუამს:
513. **სდევს მიჯნურსა:** სამღ~თოზედ უთქუამს ვინც სასუფეველის მიჯნური შეიქნება საწუთრო უნდა დაინაღლოს ბოლოს სასუფეველს იშოვნის ვინც ამ სოფელს გაირჯება და ზრუნვისაგან გამოვა სასუფეველის მიჯნურობა მართლა უთქვამს სიკვდილზე მიახლოებულნი არის დიად საჭიროც: გასწავლულს მართალია გააშმაგებს ამ სოფლისათვის ტანთ არ ინდომებს ფეხთ სამოსა და ჭამას: როგორც პავლე მოციქული ბრძანებს სიბრძნენი ამის სოფლისანი უმეცრება წინაშე ღ~თისა თუ ამ სოფელს სიბრძნე უმეცრებაა ღ~თის წინაშე მაშ ამ სოფლიოს სიბრძნე ამ სოფლისატვისაც უმეცრება არის უსწავლელს ასრე გაასწავლებს მრავალნი უცოდინარნი ღ~თის ცნობთ ბრძენნი და ფილასოფოსნი შეიქნენ:
514. **ამოა რომე:** მართალია კაცს რომე ჯავრი ჰქონდეს იმისი თქმა დიდი ლხინი არის მაგრამე თუ მტერმან შეუტყო გულში რა უძეს ის კი არ მოუხდება:
515. **ნეტარ მამაცი:** ესეები სულ ამ ზღაპრით რაც კარგებია კაცის სასწავლოდ მოუყვანია:
516. **მან მიბრძანა:** მახმური სხვა ენა არის ჩვენი არ არის:

517. **მიმავალი ცასა:** აქ შვიდი ცდომილნი ვარსკვლავნი მოუყუანია და თავის ცოდნა და სიბრძნე გამოუჩენია ამ ვარსკვლავებს თვითოსა და თვითოს სხვა და სხვა ბუნება უფლება აქუსთ ამაების ამბავი გარჩევით ჩვენ სიგრძისათვის არ დავსწერეთ და ვისაც შეტყობა გინდოდესთ საეტლო და სავარსკვლავთრიცხო ნახეთ და იქ შეიტყობთ და ამაების მოყუანაც უთქვამს ვიცოდით:
518. **დასხდეს შეიქნა:** მახალი ხურჯინი არის:
519. **მართალ არს:** ამას ზეით კაცის გაწყობისა და მუსაობობისათვის ისწავლება და ახლა მგზავრობის რიგს მოჰყუა:
520. **გარდაცდა:** აქ გასინჯეთ რუსთველი ცოლქმრობისათვის ამგვარს გაჭრასა და საქციელებს უსჯულოთ აბრალებს:
521. **ჩვენ აქა:** დარიბი თათრულადაც უცხოს ჰქვიან:
522. **სიამოვნისა:** ბადრაგა ვაჭართ რომე მხნე კაცი უძლოდეს და იმათი სისხლი იმან იკისროს ის არის:
523. **თქვენ ვაჭარნი: ჯაბანი უღონოს ჰქვიან:**
524. **კაცო ძალსა:** რუსთველს აქ გაუსინჯეთ ს~ლოთ უსწავლებია რამე თუ არა:
525. **მუნ ავთანდილ:** ხოტბა ქება არის:
526. **ჟამამდის ჩემსას:** ჯუბაჩობა თათრული არის:
527. **ფატმან:** ამას რომე სა,ეძაოდ სთარგმნიდით რუსთველს მეძავსა როგორც ქება დაუწერია ამას ქვევით მოგახსენებს:
528. **ფატმან:** სალუქი შემკობის მოყუარეს ჰქვიან:
529. **სჯობს:** ლიზლობა სიტყვის შეჩვევაა ხუმრობისათვის:
530. **შენ:** ტრფიალი ზეით სწერია:
531. **ფატმან:** ეს ამაზედ დაუწერია რომე დასაძრახავია ის საბოზრად არ დაუწერია საბოზარი ეს არის:
532. **ესე გვარი:** თუ საბოზროდ დაეწეროს ეს წიგნი რატომ ზეით იმ გვარად ამბობს და აქ ამას ასე ურიგოთ იხსენებს მაგრამ არის ის ზეითი საბოზარი არ არის ბოზობისა ეს არისო ნახეთ რა გზით დაუშლია ბოზობა რომე ავთანდილს ნათხოვნი ჰყვანდა და იმასაც რას გზით უშლის ვისაც ჰელთა ჰყავს იმისგან როგორ უფრო დასაშლელი და უქნელი არის ნახეთ ფატმანს როგორ აგინებს ბოზობისათვის და ავთანდილს როგორ შორ აჭერინებს ახლა რომე დაყოლია ამ საქმისათვის რადგან ასე დიდ სირცხვილში ვაბივარ გაჭირებისათვის არც სირცხვილისა ანაღვლა არც ცოდვასლა დარიდა:
533. **ისი დიაცი:** გასინჯეთ იმის ქნას როგორ გაჭირებისათვის ამბობს:
534. **ერთგან:** დარაკა ფარსა ჰქვიან ნახეთ განა ერთს კაცს შეაყუარა მეორესაც შეაყუარა რომე კახპათ გახადა თვარა მართალი როდის იკადრებოდა:
535. **გამკიცხე:** ესევე თავის მოყვარე როგორ მოეპყრა ეს გასინჯეთ:
536. **დიაცმან:** დიაცი დედაკაცია:
537. **ესე გვარი:** მეზოზრისა დედაკაცის გინებისათვისაც უთქვამს ეს ლექსი: და სასწალოც არის ენა მეტი არ უნდა იყოს კაცი:
538. **თვარა:** აქ გასინჯეთ სამ~ლოთ წერილისათვის უბნობს რამდენი ავი საქმე მაქუს ბოზობას იმათვე არ ყოფილანო:
539. **რა ესე:** აქაც აჩენს რომე არ ყოფილანო:
540. **მოვიყუანე:** ხალვა თავის წინ რომ კაცი იყოს იმას ჰქვიან:

541. **ვთქვთ თუ:** ავკაცობის საქმით ამბობდეს ამდენს ხანს რომე ამდენ ალაგს ამისთანა ლამაზი ქალი არონინა რატომ არა დააშავებინა რა ლმობიერი მშვიდი თუ წყნარი არის:
542. **უსენ:** არიფი თათრული არის:
543. **რა მეფემან:** ფარჩი სარვინე არის:
544. **შეველ:** იავარი აფორიაქება არის ამოფხრა მოგლეჯაა:
545. **თვალთა:** აჯილა ჩადრსა ჰქვიან:
546. **ვითა:** მფახველი დახუჭვილია:
547. **უბრძანა:** ხადუმი თათრული არის საჭურისია:
548. **ხადუმნი:** ქალისატვის გაჭირვებაში ამისთანა რჩევა უთქმევინებია ნახეთ კაცმა რა უნდა ქნას:
549. **მონათა:** მექრთამეობას აძაგებსო:
550. **რა ოქრო:** ეს დიად უსადმთოდ დაუწერია მართალს მოგახსენებ:
551. **მის მთავარ:** რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საბოზრად დაგიწამებიათ იმას საბოზრად კი არ დაუწერია ბოზებიცა და მისი მდევარიც ნამეტნავად გაულანძღავს დედაკაცის ბოზობა სახელდობით დაუწერია და კაცისა უგულობაც ისივ არის:
552. **ავთანდილ:** თვითო ოროლა სადაც მოხდომია ადგილს სიტყუაზე საღთო წიგნში სწერია მოყუარე მოყუარეს ნუ მიენდობაო მაგრამე იმ საქმის იგავად მოყუანია და წიგნშიაც ეს სწერია მოყუარე მტერი მოყურისა ქრისტესი მოყუარე არის და ეშმაკი იმისი მტერი კაცისათვის ყოვლის მტრისაგან უფრო მტერი არის ვინც ჰკვიანი და მეცნიერია ეშმაკის საქმეს ვინა იქს და ან ვინ მიენდობა ეს მისი იგავია ისომ ეშმაკური საქმე ჩამოგვარდნოდათ იმისაგან ნულარ იშიშვი:
553. **ვაი საწუთროო:** ესეც შესავლად მოყუანია რომე სოფლის ნივთს არ უნდა კაცი შეემსჭავლოს და სოფლისათვის უძრახავს ეს სოფელი მოკლე და უხანო არის:
554. **მათ სხვათა:** ქვრიმა ფეტვია ღომის თავსავით არის მომცროა:
555. **როშაქ ბრძანა:** ნახეთ ტირილი რას გზით დაუშლია ვითამ როშაქ მათი ამისთანა სპასალარი იყო და ტირილი სძულდაო ოქროპირის სწავლაშიაც არად მოსაწონია:
556. **არცარა:** ქუში მრუდათ მწყრალსა ჰქვიან:
557. **გულითა ღთსა:** იჩქითი ანაზდად არის:
558. **ავთანდილ:** აქაც გაშინჯეთ როგორ სასიამოვნოდ დაუწერია ბოზობის საქმე:
559. **ფატმან წერს:** შეთხზული ერთმანერთში შერეული:
560. **ესე წიგნი:** აქ თავის მდივნობა გამოუჩანია რადგან საცოლქმრო მისაწერი წიგნი ასე სცოდნია ნახე სხვა წიგნები როგორ ეცოდინებოდა:
561. **ესე უსტარი:** გია ტყვიას ჰქვიან:
562. **მოწურვილ იყო:** საროტანი კირჩხიბსა ჰქვიან:
563. **წიგნი:** კაენ და სალა ორნივ ავნი კაცნი არიან ეს ავის კაცებისათვის უნდა შეედარებინა კარგისათვის არა მაგრამე შორ ჩანს საავოდ არ უთქუამსო:
564. **ავთანდილ უჭვ:** ნიშატი არ ვიცოდო:
565. **მე მოვკვალ:** კაცმან რომ კაცს გასახარელი თუ საწყინო ამბავი ანაზდეულად უთხრას ესეც უსწავლებია და არ დაუგდია არ ვარგაო თვარა ავთანდილ რა აგრე გაუსინჯავი კაცი იყო რომე იყო თუ არა იყო არ სცოდნოდა მაგრამე არა ეს დაუგდია:
566. **ქვაბის კარსა:** ჭარმაგი თეთრზედ შავით დაწიწკნული არის ან იმრიგი ტანსაცმელი ეცვა ავთანდილს ან ცხენს იჯდა იმრიგს:

567. **კიდობანი გაქსნეს:** ლუსკუმა კიდობანსავით აშენებულს ჰქვიან:
568. **დაიწყეს პერობა:** ფანოსი ბერძნული არის სინათლეს ჰქვიან გასანათებელი რამ არის და ქართულადაც ფანრად იცნობის კაი ხუმრობაც სიკეთით მოუყვანია:
569. **ამა ფრიდონის:** გუშაგი ციხის დარაჯსა ჰქვიან:
570. **ფრიდონ თქვა:** დახშვა დაგდება:
571. **ჩემსა სიმ:** მუშაითი საბელზე გამლელს მოთამაშეს ჰქვიან:
572. **აბჯრითა გავლა:** კისკასი სწრაფსა ჰქვიან:
573. **მაგა თათბირსა:** აქ რჩევას ისწავლება კაცი ყოვლს საქმეზე სამჯობინ არის რჩევათა და გასინჯვით უნდა იყოს:
574. **კვლავ ერთმან:** ჩაბალახი ჯაჭვის ქუდსა ჰქვიან:
575. **შორს:** ბროლს მთვარესავით ბაკი ევლოს:
576. **ზღვათა:** პერპერა რაც რამ მოსაკაზმავს გარდა სხვა კიდევ რამ კარგი მოუმატოს:
577. **ტარიელ:** ესეები აქ ამისთვის მოუყვანია რომე კაცმან კარკაცობა და კაცის ვალდებულობა კარგად უნდა დაუმადლოს და გარდაიხადოს :
578. **ასმათ:** ეს ბატონყმობის სიყვარულისათვის მოუყვანია და ისწავლება:
579. **მოვიდეს და:** ამას ამბობს ვინც ბატონისათვის თავს მოიკლავს მართებული საქნელი საქმე არისო და ცხონებაცა აქვს როგორც პავლე ბრძანებს ვინც მეფეთ ბრძანებას ადგება ღთის ბრძანებასაც ადგებაო:
580. **თუცა:** ბორიო სადაროს ნისლს ჰქვიან:
581. **მოიღეს:** ალქატი გლახაა სომხებიც ამას ეძახიან:
582. **კვლავ:** ფარღული ყელსაბამია:
583. **აწ მითხარ:** თუ ტარიელ მეძავი ყოფილიყო უნამუსო იქნებოდა და სხვის სათნოსათვის ამთონ ჭირ გარდახდილი ექმრობოდა მაგრამ არა რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს არათუ მეძაობაზედ და აქ ესეც უსწავლება ჩვენთვის ნამუსისათვის სასიამოვნო რაგინდ უნდოდეს დაითმობა:
584. **ჩემი:** ნახეთ ხუმრობაც როგორ კარგის გზით ზნეობაში მოუყვანია:
585. **რა გამ:** თნება სამუღელი არ არის მაგრამე უგვარად თნება ურიგოა:
586. **უამბო:** თვითანვე ისწავლება ბატონის მორიდება ასე უნდაო:
587. **რასაცა ლამი:** ბატონის ღალატობას და მუხანათობას გასინჯეთ როგორ შლის და ზოგნი რაც კარგნი დაუწერია ამას კი არ უგდებთ ყურსა და რაც გინდათ ისე თარგმნით:
588. **ამა საქმესა:** აქ დიონისე არეოპაგელს მოწმობს დიონისე იტყვს ღთს ყველა კეთილად დაუბადებიაო მაგრამ თუ კაცი ავს იქს იმისივ ბრალიაო შესავალთაცა უთქვამს და თავისი სიბრძნეც გამოუჩენია ეს წიგნიც მიკითხავსო:
589. **ტაბლაცსა:** ტაბლაკი მცირე ნაღარაა:
590. **მათდავე:** სახედ რომ დაუწერია ვარსკვლავთათვის უმზგავსებია: